ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტი

12 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2013 წ., №17

დოქტორანტმა მაია სვანაძემ ყველაზე მაღალი შეფასება - 100 ქულა დაიმსახურა

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 135 დოქტორანტიდან 60 (44%) თსუ-ის დოქტორანტია

გვ. 5

სტუდენტური თვითმმართველობის ახალი კონცეფცია

ახალი ხედვა: სტუდენტურ თვითმმართველობებს ქვეყნის მმართველ პარტიასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეთ და ისინი არც საკუთარ ბიუჯეტს უნდა განაგებდნენ

გვ. 6

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი

შალვა ნუცუბიძე

თსუ შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავს აღნიშნავს

12–13 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებლის, გამოჩენილი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება.

12 დეკემბერს, 11 საათზე, კონფერენციის მონაწილენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში გვირგვინით შეამკობენ შალვა ნუცუბიძის ძეგლს, რის შემდეგაც დაესწრებიან პარაკლისს. ასევე დაგეგმილია შალვა ნუცუბიძის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა თსუ-ის მუზეუმში. გამოფენაზე გამოტანილი იქნება მისი პირადი არქივი და სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები. ამავე დღეს გაიხსნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ მეცნიერები რუსეთიდან, ფინეთიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან.

კონფერენციის ფარგლებში პროფესორი გასილ ლურიე (სანკტ-პეტერბურგი) წარმოადგენს შალვა ნუცუბიძის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის ელექტრონულ ვერსიას.

მე-7-10 გვერდზე

ნომერში

ქართველი და აფხაზი მკვლევრები აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერას იწყებენ 2

განათლების სისტემაში განხორციელებული 10 წლიანი ცვლილებების ანალიზი 3

კანონი სახელმწიფო ენის შესახებ — რას გვთავაზობენ ავტორები? 13

ირაკლი ბურდულმა „სააქციო სამართლის საფუძვლების“ II ტომი გამოსცა 14

XIX საუკუნის ლიტერატურის ღირსება 14

რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში?

დისკუსია

უნივერსიტეტი გარკვეული ცვლილებების მოლოდინშია, თუმცა, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, ამ ეტაპზე ყველა ცვლილება კონსტრუქციული დიალოგის და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად ხორციელდება. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ უკვე მესამე ნომერია ადგილს უთმობს მოსაზრებებს ფაკულტეტების დაყოფის მიზანშეწონილობის შესახებ. ამჯერად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელების მოსაზრებები გამოგვაქვს სამსჯავროზე.

მე-3 გვერდზე

ფაკულტეტების დაყოფას აკადემიური კონკურსები არ მოჰყვება

ვლადიმერ პაპავა,
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი:

— რამდენად შესაძლებელია, რომ ფაკულტეტების დაყოფას თსუ-ში ახალი აკადემიური კონკურსები მოჰყვეს, რასაც ზოგიერთი პროფესორი შიშობს?

— ნებისმიერი რეორგანიზაცია, თუკი ის ფაკულტეტებთან მიმართებაში განხორციელდება, არანაირად არ შეეხება აკადემიურ თანამდებობებზე დაკავებულ ხალხს, რადგან მათი უფლებები გარანტირებულია კანონით და სათანადო კონტრაქტით. ამდენად, ვიდრე საკონტრაქტო ვადა არ ამოეწურებათ, ისინი დარჩებიან აკადემიურ თანამდებობებზე ფაკულტეტებზე განხორციელებული რეორგანიზაციის შემთხვევაშიც. თუ შეიქმნება ახალი ფაკულტეტები, შესაბამისად გაჩნდება ვაკანსიები დეკანისა და დეკანის მოადგილეებისა, რომელთა ადგილზეც კონკურსებს გამოვაცხადებთ.

რაც შეეხება ფაკულტეტების დაყოფასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხს, ჩვენ სწორედ იმიტომ არ ვჩქარობთ, რომ ჯერ კარგად გავეცნოთ საუნივერსიტეტო საზოგადოების ხედვას — თუ რას ფიქრობენ კოლეგები ფაკულტეტების დაყოფის თემაზე.

კომენტარი

| ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ |

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲔᲕᲗ?

ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი:

— უნივერსიტეტთან არსებულ ე.წ. „ენების ცენტრში" უცხო ენებისათვის ათეულობით შტატია დაშვებული, ქართული ენის სწავლებისათვის კი (თითქოს იმ მიზეზით, რომ „მოთხოვნილება არ არის") რამდენიმე წლის წინ დათმობილი იყო მხოლოდ 5 საშტატო ერთეული, დღეს კი მხოლოდ 1 საშტატო ერთეულია, და ეს მაშინ, როდესაც ქართული ენა სახელმწიფო ენაა და სინამდვილეში (ამ ბოლო დროს მაინც) დიდი მოთხოვნილებაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის მხრიდან. ამას ადასტურებს სამხრეთ საქართველოდან მოზღვავებული სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ეუფლება ქართულ ენას, მაგრამ არა ე.წ. „ენების ცენტრში", არამედ ქართული ენის ინსტიტუტში, მისი პროფესურის გადატვირთვისა და მოწვეული მასწავლებლების ხარჯზე. ეს კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს სწავლების ხარისხსაც და ფინანსების არაეკონომიურობას (აღარაფერს ვამბობთ მასწავლებელთა არსებული კონტინგენტის დისკვალიფიკაციის საშიროებაზე). ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჭიროა „ენების ცენტრში" გამოიყოს ქართული ენის მასწავლებლის არანაკლებ 20 საშტატო ერთეულისა.

ᲛᲔᲠᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი სურვილია და რექტორთანაც ამაზე ვისაუბრებდი, რომ უნივერსიტეტში გამოიყოს სივრცე, სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ უფრო ახლოს გაეცნონ სახელოვანი წინაპრების ცხოვრებას. მართალია, დღევანდელი ახალგაზრდობა მოტივირებულია, რომ კარგი განათლება მიიღოს, მაგრამ მათ აკლიათ უფროსი თაობის მიმართ მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა. ამ სივრცეში უნდა ხდებოდეს იმ ადამიანთა საქმიანობის „გაცოცხლება", ვინც ვალი მოიხადა ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის წინაშე. ეს სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს. მაგალითად, რომელიმე მეცნიერისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უფრო მეტი თვალსაჩინოება გამოიფინოს და სხვა.

ასეთი პიროვნებები დღესაც გვყავს, ამიტომ სტუდენტებს უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეხვდნენ მათ და ესაუბრონ. მაგალითად, ერთერთი ასეთი პიროვნებაა პროფესორი თედო უთურგაიძე, რომელიც არც აკადემიის წევრია, არც რაიმე ჩინი აქვს, მაგრამ უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში. საინტერესო იქნება სტუდენტებმა უშუალოდ მოისმინონ მზექალა შანიძისგან, მარიამ ლორთქიფანიძისგან და სხვა პროფესორებისგან პირადი ცხოვრების შესახებ ისტორიები, რადგან მათი მიბაძვის სურვილი გაუჩნდეთ. მათი ახლოს გაცნობა სტუდენტებისთვის ძალიან კარგი იქნებოდა.

ᲖᲐᲖᲐ ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პროფესორი:

— ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი სრული შტატით ორ ან სამ ადგილზე მუშაობს, მათ შორის, ზოგჯერ — ერთსა და იმავე დაწესებულებაში. ბუნების კანონის თანახმად, ასეთი თანხვედრა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, აშკარაა ხშირად მნიშვნელოვანი შეუსაბამობაც და ხარვეზებიც, რაც თავს იჩენს როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციული ასპექტებით. ეს საკითხიც საკანონმდებლო გზით არის დასარეგულირებელი. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმას, რომ ხელაღებით უარვყოთ ორი, ან სამი სამსახურის შეთავსება, მაგრამ ნათლად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ძირითადი და შეთავსებითი სამუშაოს პირობები (მათ შორის — სამუშაო დრო და საათები) და ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა იყოს. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ვაკანსიათა ოპტიმიზაციას, აუცილებლად გამოთავისუფლდება თანხა და იგი შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით ბევრად უფრო მიზანმიმართულად გამოვიყენოთ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲔᲗᲜᲝ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

ზურაბ შენგელია

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ახალი პროგრამის განხორციელებას იწყებს, რომელიც აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დარგობრივი ენციკლოპედიური ლექსიკონებისა და კრებულების გამოცემა, რომლებიც შემდგომში გაერთიანდება აფხაზურ ენციკლოპედიად. კვლევითი პროგრამა გრძელვადიანია და მასში თსუ-ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისია (თავმჯდომარე აკადემიკოსი ქ-ნი გუჩა კვარაცხელია) და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ინსტიტუტია" ჩართული. თსუ-ის ბაზაზე უკვე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, ქართულ-აფხაზური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ზურაბ შენგელიას თავმჯდომარეობით, რომელიც კვლევით და საორგანიზაციო საკითხებს გაუწევს კოორდინირებას. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში აფხაზური საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. თანამშრომლობის დეტალების შესათანხმებლად სოხუმში უკვე იმყოფებოდა თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი ესმა კოკოსკერია.

„საინიციატივო ჯგუფის 22 ნოემბრის შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, რომ თავიდან თემატურ კრებულებსა და დარგობრივ ლექსიკონებზე დავიწყებთ მუშაობას. არის თემები, რომლებიც უკვე შესწავლილი გვაქვს და აფხაზურ მხარესთან არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის, საჩოთირო თემების შესწავლას კი სრულიად თავიდან დავიწყებთ. შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული მეთოდით ვიმუშავებთ და შემდეგ, ეს ნაშრომები დიდი აფხაზური ენციკლოპედიის ფარგლებში გაერთიანდება", — განაცხადა თსუ-ის ქართულ-აფხაზური სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ.

აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერის პროგრამას თავის მთავარ დანიშნულებასთან ერთად, დამატებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს. მათ შორის აღსანიშნავია ქართველი და აფხაზი მკვლევრების აქტიური ურთიერთთანამშრომლობის პროცესის დაწყება, თუმცა აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის შესწავლა ისეთ თემებზე მუშაობასაც ითვალისწინებს, რომლებიც ქართველებსა და აფხაზებს შორის დავის საგანია. მაგალითად, ეთნოგრაფიული, ისტორიული... სწორედ ამიტომ, კონფლიქტური ვითარების თავიდან აცილების მიზნით თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევით ცენტრში შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც კვლევის პროცესში ორივე მხარეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალებას მისცემს.

თსუ-ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ინსტიტუტი" აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით პოტენციურ სპონსორებთან მოლაპარაკებების მართავენ. ამ დროისთვის პროექტს მხოლოდ ერთი სპონსორი ჰყავს — RMG ჯგუფი, რომლის სამეურვეო საბჭომ (თავმჯდომარე ბ-ნი ზურაბ ქუთელია), მიიღო გადაწყვეტილება — გააფორმოს ოფიციალური ხელშეკრულება „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან" ამ პროგრამის ფინანსური დახმარების თაობაზე. თსუ-ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა კვლევით ცენტრში იმედოვნებენ, რომ მათ ფინანსურ მხარდაჭერას სხვა ორგანიზაციებიც გაუწევენ.

მოამზადა **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔᲛ**

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

№159/01-01 05.12.2013

ᲡᲡᲘᲞ-ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის 126 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 4 დეკემბრის №17/04 ერთობლივი ბრძანების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თ. ბერიძის 2013 წლის 25 ნოემბრის №36869/02 წერილის საფუძველზე,

ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 5 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 6 იანვრიდან 2014 წლის 20 იანვრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2014 წლის 10 თებერვლისა.

4. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ეკონომიკის პრინციპების კათედრა

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2014 წლის 6 იანვრიდან 2014 წლის 20 იანვრის ჩათვლით. 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარია, ოთახი №310.

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი";

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, აკადემიკოსი
ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ

 დისკუსია

რა არის დადებითი და რა — უარყოფითი ფაკულტეტების დაყოფის ამა თუ იმ მოდელში?

გიორგი ოთხმეზური, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის (საქართველოს ისტორია) მიმართულების ასოცირებული პროფესორი:*

— მე მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოგახსენებთ — მისი დაყოფა კარგი იქნება, რადგან იგი თავის დროზე ხელოვნურად შექმნეს და მასში ბევრი ისეთი ფაკულტეტია გაერთიანებული, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ აქვს. ამ გაერთიანებით ბევრი ცუდი რამ მოხდა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ისტორიის ფაკულტეტი ყველა უმაღლეს სასწავლებელში ცალკე არსებობს და მიმაჩნია, რომ არ უნდა იყოს მიერთებული სხვა მიმართულებებთან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

ამ გაერთიანების შედეგად მთლიანად გაუქმდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელიც ერთერთი მოწინავე ფაკულტეტი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. ამ ფაკულტეტზე არსებული ენის სექტორი დამსხვილებულ ფაკულტეტზე ენების მიმართულებას მიუერთეს, ხოლო ისტორია — ისტორიის მიმართულებას. არადა, ფაკულტეტი, რომელშიც შედიოდა აღმოსავლური ენები და ისტორია, ერთი მთლიანი ორგანიზმი იყო. მე ვფიქრობ, ეს ფაკულტეტიც ძველ ფორმატში უნდა აღდგეს.

ფაკულტეტის დაყოფის შემთხვევაში ყველა ფაკულტეტი თავის სახელს დაიბრუნებს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს დაფიქრებით. არ უნდა ვიჩქაროთ. უნდა გავითვალისწინოთ ამ რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები და გადაწყვეტილება ისე უნდა მივიღოთ.

თუ ფაკულტეტები დაიყოფა, დღის წესრიგში დადგება ფინანსური და ორგანიზაციული საკითხები. ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იქნას და რეორგანიზაცია ისევე სპონტანურად და დირექტივებით არ უნდა მოხდეს, როგორც ეს თავის დროზე ექვსი ფაკულტეტის გაერთიანებით მოხდა.

ლევან გორდეზიანი, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების (ძველი მსოფლიოს ისტორია) პროფესორი:*

— ფაკულტეტების დაყოფა, ზოგადად, რთული საკითხია. პირადად არ ვარ მომხრე, რომ დაიყოს, რადგან მიმაჩნია, რომ დღეისთვის ეს ერთობა გამართლებულია. შესაძლოა რომელიმე ფაკულტეტის ორად გაყოფა, ვთქვათ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა, გამართლებული იყოს (ამის მცდელობა იქ ადრეც იყო და რამდენადაც ვიცი, პროფესორთა ნაწილს დღესაც აქვს ამის სურვილი), მაგრამ საერთო ჯამში ამის მომხრე არა ვარ.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ უნდა ამოვიდეთ იქედან, რომ უნივერსიტეტი არის მთლიანი კომპლექსი. უნდა გავარკვიოთ, რა სისტემა გვაქვს, რა გვინდა, რა ფუნქცია აქვს ფაკულტეტს და ა.შ. ჩვენთან, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ძალიან ცქვიტად ჩატარებულმა რეფორმებმა ზოგში ველური სიხარული გამოიწვია, ზოგმა კი რეფორმა არ მიიღო. ახლა საპირისპირო რეაქცია გვაქვს — მოდი, რაც იმათ გააფუჭეს, ყველაფერი უკან დავაბრუნოთ.

რაღაც ლოგიკა იმ რეფორმას ჰქონდა და თავის დროზე ამ გაერთიანების საჭიროება არსებობდა. მგონია, რომ ფაკულტეტების შედარებით გონივრულ რაოდენობაზე შეჩერება ლოგიკურია იმისთვის, რომ ფაკულტეტი ქმედითუნარიანი იყოს. ეს საკითხი მთლიანობაშია განსახილველი. აქ უნდა გავითვალისწინოთ როგორც სისტემა, ისე ფაკულტეტების შიდა სტრუქტურა. კარგად უნდა განვსაზღვროთ ვინ იღებს სტუდენტს, ვინ არის სასწავლო პროგრამაზე პასუხისმგებელი, რა დონეზე არის სწავლის, ადმინისტრირებისა და მეცნიერების მენეჯმენტი. ცვლილება ამ ყველაფერთან უნდა დავაკავშიროთ და არა იმასთან, რომ რაღაც არ მოგვწონს და, მოდი, ძველ ტკბილ ბავშვობაში დავბრუნდეთ.

რუსუდან დოლიძე, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ ევროპული ფილოლოგიის (ინგლისური ფილოლოგია) მიმართულების ასოცირებული პროფესორი:*

— მიმაჩნია, რომ ფაკულტეტების დაყოფით არაფერი დაშავდება. ვფიქრობ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცალცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი ფილოლოგია და ისტორია, მაგრამ კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა მოჰყვება ამას დადებითი და რა — უარყოფითი. გადაწყვეტილება მხოლოდ საფუძვლიანი განხილვის შედეგად უნდა მივიღოთ.

ლალი ქეცბა–ხუნდაძე, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ ევროპული ფილოლოგიის (გერმანული ფილოლოგია) მიმართულების პროფესორი:*

— არსებობს მრავალი საკითხი, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტის განვითარებისთვის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციისთვის, თუმცა საუნივერსიტეტო სტრუქტურაში რადიკალური ცვლილებების გატარება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ვგულისხმობ ფაკულტეტების დარგობრივი დაშლის იდეას.

ჩემი აზრით, ეს გამოიწვევს არა მხოლოდ მასშტაბურ ფინანსურ პრობლემებს, არამედ არასასურველ სისტემურ (საორგანიზაციო) ცვლილებებსაც. მაგალითად, ფაკულტეტების დაშლას შესაძლოა მოჰყვეს სტუდენტური კვოტების რადიკალური შემცირება დეპარტამენტებში, რითაც შეფერხდება მაინორის პროგრამების განხორციელება, რომელთა არსებობაც აუცილებელია როგორც მეორე სპეციალობის საფუძველი. მაგალითად, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისთვის მაინორის პროგრამის სტუდენტების მოზიდვას, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ფაკულტეტების დანაწევრების შედეგად, აგრეთვე, შესაძლოა შეიზღუდოს პროგრამებში არჩევითი საგნების ჰორიზონტალური გახსნილობა და სტუდენტს აღარ მიეცეს არჩევანის ისეთი თავისუფლება, როგორიც ახლა აქვს.

ვასილ კაჭარავა, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების პროფესორი:*

— აბსოლურუტად ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს ფაკულტეტების დაშლასთან დაკავშირებით. ჩვენი მიმართულება ძალიან კარგად გრძნობს თავს ამ სისტემაში და არანაირი პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ თუ უკეთესი შემოთავაზება იქნება, მივესალმებით.

ვახტანგ ლიჩელი, *თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის (არქეოლოგია) მიმართულების პროფესორი:*

— არ ვარ ნაწილობრივ განხორციელებული ცვლილებების მომხრე. თუ ფაკულტეტი ცალკეული სპეციალობების მიხედვით დაიყოფა და მათ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი მიეცემა, ფაკულტეტის დაშლა ჩემთვის მისაღებია. მაგრამ თუ ნაწილობრივ უნდა დაიყოს, ვთქვათ, ორ ფაკულტეტად და რაღაც სპეციალობები ისევ უნდა გაერთიანდეს, ამას სჯობს, დარჩეს ის, რაც ახლა არის.

ზოგადად, ფაკულტეტების დაყოფის პოზიტიურობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხარისხის დამოუკიდებლობას მიიღებენ ახლად წარმოქმნილი (თუ აღდგენილი) ფაკულტეტები, რამდენად შეეძლებათ მათ მართონ თავიანთი მიმართულება, რამდენად იქნება დამოუკიდებელი სასწავლო და სამეცნიერო კვლევის პროცესი.

ვფიქრობ, ფაკულტეტის დაყოფა არ გამოიწვევს ფინანსურ პრობლემებს, რადგან ბიუჯეტი წლის დასაწყისში დგება და სწორედ ამ ბიუჯეტის მიხედვით დაიგეგმება ამა თუ იმ მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო პროცესები.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

განათლების სისტემაში განხორციელებული 10 წლიანი ცვლილებების ანალიზი

ჯერ სტრატეგია — შემდეგ კანონ(ებ)ი

Იმ შემთხვევაში, თუ არ გაიწერება საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, 20-25 წლის შემდეგ ქვეყანაში როგორც უმაღლესი განათლება, ასევე, მეცნიერებაც მხოლოდ ფორმალურად იარსებებს — ასეთ პროგნოზს აკეთებენ ექსპერტები, რომლებმაც პროექტის „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში — რეფორმის პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობის კვლევა განახორციელეს. სიტუაციური ანალიზი 5 მიმართულებით ჩატარდა — უნივერსიტეტის ავტონომია და აკადემიური თავისუფლება; უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა; კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლება და დასაქმება.

კვლევით პროექტში 5 არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია იყო ჩართული — „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, „ტემპუსის ეროვნული ოფისი“, „საერთაშორისო განათლების ცენტრი“, „განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი“ და „აკადემიური სტიპენდიების პროგრამა“. ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შემუშავდა სპეციალური დოკუმენტი „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“. დოკუმენტზე მუშაობისას ჰიპოთეტურ მოდელად მკვლევრებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემა გამოიყენეს, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ესტონეთის გამოცდილებას დაეთმო.

კვლევის პირველადი შედეგების პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 27 ნოემბერს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო პროცესების მართვის, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტების ხელმძღვანელები და სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

„კვლევა ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზს წარმოადგენს — თუ რა არის დადებითი, რა არის უარყოფითი, რაში ვხედავთ გამოსავალს და რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ. აუცილებელია განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის გაწერაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც სწორედ ამიტომ მასპინძლობს ამ ღონისძიებას, რომ ჩვენ შიგნიდან ვხედავთ იმ პრობლემებს, რაც განათლების სისტემაში არსებობს“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია, რომელმაც საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სიტუაციური ანალიზი განახორციელა, მუშაობის მომდევნო ეტაპზე გადავიდა. უკვე მომზადებულ დოკუმენტში, კვლევის შედეგების გარდა, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციებიც, რომელიც განათლების სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებას გულისხმობს.

„კვლევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გავაცანით. მინდა აღვნიშნო, რომ იგი ინტერესით მიიღეს. არსებობს დაპირება, რომ მთლიანად თუ არა, მოცემულ რეკომენდაციებს ნაწილობრივ მაინც გა-

მოიყენებენ. ასევე, შევთანხმდით თანამშრომლობაზეც. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ცოცხალი და ბუნებრივი პროცესი. გვინდა პროფესორთა აქტიური ჩართულობაც უზრუნველვყოთ, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე აუცილებლად ითანამშრომლებს იმ ადამიანებთან ერთად, ვინც ეს კანონი უნდა აღასრულოს“, — აღნიშნა „განათლების დაგეგმვის, პოლიტიკის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის“ დირექტორმა, პროექტის ავტორმა გიორგი მაჩაბელმა.

კანონშემოქმედებით პროცესში აკადემიური საზოგადოების ჩართულობის გააქტიურების მიზნით, პრეზენტაციაზე უმაღლესი განათლების სისტემის პრობლემატიკის თემაზე ეროვნული კონფერენციის ჩატარებაც დაანონსდა, რომელშიც არასამთავრობო სექტორის და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწვეული ექსპერტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება

Უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების სტრატეგიული მიმართულების ანალიზი ექსპერტმა ლელა ჩახაიამ განახორციელა. დოკუმენტის მიხედვით, ამ მიმართულებით განათლების სისტემაში ვითარება მძიმეა, რადგან ბოლო წლებში საბიუჯეტო დაფინანსება მნიშვნელოვნად კლებულობს. მაგალითად, თუ 2005 წელს უმაღლესი განათლებისა და კვლევისათვის ბიუჯეტიდან მთლიანი შიდა პროდუქტის 0,17% გამოიყო, 2011 წელს ეს ციფრი ორჯერ შემცირდა და 0.08% შეადგინა. პრობლემატურია დაფინანსების წყაროების საკითხიც. 2010 წლის მონაცემებით, საჯარო დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 36% გახლდათ, სხვა წყაროებიდან (საბანკო, კერძო სექტორი) შემოსული თანხები კი, ფაქტობრივად, ნულის ტოლი. შედარებისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერებისთვის ამ სექტორიდან გამოყოფილი ფინანსები 10%-ს უდრის. მკვლევრის ანალიზით, აუცილებელია უნივერსიტეტების ვაუჩერული სისტემით დაფინანსების დახვეწაც, რადგან ეს მხოლოდ სტუდენტების სწავლის გადასახადს ითვალისწინებს და უმაღლესი სასწავლებლების გამართული ფუნქციონირებისთვის საკმარისი არ არის. კვლევის ამ ნაწილში ასევე განხილულია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხიც.

მე-4 გვერდზე

განათლების სისტემაში განხორციელებული 10 წლიანი ცვლილებების ანალიზი

მესამე გვერდიდან

ავტორი აღნიშნავს, რომ „სტუდენტთა დაფინანსების ამჟამად არსებული სისტემის პირობებში სახელმწიფო, დიდი ალბათობით, აფინანსებს უკეთ უზრუნველყოფილ სტუდენტებს. რაც შეეხება სოციალური საჭიროების საფუძველზე დაფინანსებას, მაგალითად, 2012-2013 სასწავლო წლისთვის, მხოლოდ 488 სტუდენტის სწავლის საფასურის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება განისაზღვრა.

ლელა ჩახაია კვლევაში ასევე აღნიშნავს, რომ არსებული მწირი დაფინანსების პირობებში უმაღლესი სასწავლებლებისთვის კვლევების წარმოების ერთადერთ საშუალებას გრანტების მოპოვება წარმოადგენს, თუმცა მათ ამისთვის საკონკურსო პირობებთან საკუთარი კვლევითი ინტერესების ადაპტირება უწევთ, რაც მეცნიერებისთვის უკვე გარკვეულ შეზღუდვას წარმოადგენს.

დოკუმენტში, პრობლემების შესაბამისად, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციებიც, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პრეზენტაციაზე საზოგადოებას „განათლების დაგეგმვის, პოლიტიკის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის“ დირექტორმა გიორგი მაჩაბელმა გააცნო.

„რეკომენდაციებს შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს და დამტკიცდეს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების 10 წლიანი სტრატეგია, მათ შორის განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დაიგეგმოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა. ვფიქრობთ, უახლოეს 2-3 წელიწადში საქართველოს მეცნიერება დიდ საფრთხეში იქნება, თუ მისი წილი არ გახდება მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ერთი პროცენტი. ასევე უნდა მოხდეს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, მექანიზმების დახვეწა და ა.შ. საჭიროა, ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის დაფინანსების ორდონიანი სისტემა — ე.წ. საბაზო და საგრანტო სისტემები. ასევე, აუცილებელია გაიზარდოს სოციალური გრანტების მოცულობა და ამოქმედდეს დაბალ პროცენტიანი სტუდენტური სესხების სისტემა“, — აღნიშნა გიორგი მაჩაბელმა.

უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება

კვლევის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება ლისაბონის 2007 წლის დეკლარაციით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით გაანალიზდა, ესენია — ორგანიზაციული, ფინანსური, კადრებით უზრუნველყოფის და აკადემიური ავტონომია.

„ანალიზისას საკმაოდ საინტერესო მიგნებები წარმოჩინდა. გამოვიტანეთ დასკვნა, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი ორგანიზაციული ავტონომიურობით, მაგრამ ანგარიშვალდებულების გარანტიების არქონის გამო მაღალი ორგანიზაციული ავტონომია ვიწრო პოლიტიკური და კერძო ინტერესების ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ფინანსური თვალსაზრისით უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია მხოლოდ საჯარო დაფინანსების ნამატის შენარჩუნებისას აქვთ, ასევე, სესხის აღების პროცესშიც, თუმცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნებული უმაღლესი სასწავლებლები ამ კუთხით შეზღუდულები არიან. კადრებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით უმაღლესი სასწავლებლები დამოუკიდებლად მოქმედებენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა-გათავისუფლების თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ანგარიშვალდებულების სისტემის არაეფექტიანობის გამო უნივერსიტეტები ამ უფლებებს არასამართლიანად და არაეფექტურად იყენებდნენ. რაც შეეხება აკადემიურ თავისუფლებას, უნივერსიტეტებს ავტონომიას უზღუდავს ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, რადგან მათ სტუდენტების დამოუკიდებლად შერჩევა არ შეუძლიათ, აბიტურიენტებისთვის წაყენებული კრიტერიუმების განსაზღვრაში იზღუდებიან და ამ ფუნქციას გარე სტრუქტურა ასრულებს. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა აკრედიტაციის მექანიზმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტებზე სახელმწიფო გავლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს“, — აღნიშნა კვლევის ავტორმა თამარ ზაალიშვილმა.

კვლევის ამ ნაწილშიც ერთერთი მთავარი რეკომენდაცია ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა და მის საფუძველზე შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება გახლავთ. ასევე რეკომენდირებულია პერმანენტულად საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემების შეფასების დოკუმენტის მომზადება და, საჭიროების შემთხვევაში, განვითარების სტრატეგიის გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. რეკომენდაციებს შორის არის — უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის მიღება და უმაღლესი სასწავლებლების დაფუძნება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. აღნიშნული დასკვნა ექსპერტებმა ესტონეთის მაგალითზე დაყრდნობით გამოიტანეს, რომელსაც სამართლებრივი სტატუსით უნივერსიტეტების მაღალი ავტონომიის შენარჩუნების გამოცდილება უკვე აქვს. ერთერთი რეკომენდაცია უშუალოდ უნივერსიტეტების წესდებებსაც ეხება, რის მიხედვითაც უმაღლესი განათლების შესახებ კანონში უნდა განისაზღვროს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც უნივერსიტეტის წესდებით უნდა დარეგულირდეს, რის შემდეგაც უნივერსიტეტებმა საკუთარი წესდებები თავად უნდა დაამტკიცონ. კვლევის ამ ნაწილში ასევე რეკომენდირებულია სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებისთვის თანაბარი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, მაღალი ავტონომიის, აკადემიური თავისუფლების და ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზი 2009 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებზე, ასევე ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა. ანალიზის პროცესში გამოყენებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც.

„ამ კვლევების შედეგად რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოვლინდა. ეს გახლავთ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ფორმალობა და არაერთგვაროვანი მიდგომები, ანუ ჩვენ ორიენტირებული ვართ ძირითადად დოკუმენტებზე და შინაარსი და პროცესები ყურადღების მიღმა გვრჩება. დასამალი არ არის და უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ხარისხის უზრუნველყოფის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ან ვინ აფასებს, რადგან ექსპერტებს ზედმეტად თავისუფალი მიდგომების საშუალება აქვთ, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ კარგად არ იყენებენ. ჩვენ გვაქვს მცირე ქვეყნის პრობლემა, ანუ აკადემიური საზოგადოება საკმაოდ ვიწროა და ამიტომ ხშირად შეფასების ობიექტურობა და სამართლიანობა ეჭვქვეშ დგება. პრაქტიკულად არ გვაქვს ინტერნაციონალიზაცია, რაც არის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ არსებული ერთერთი ძირითადი მოთხოვნა. ასევე, ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და აუცილებლად აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის მიმართულებით კვლევების ნაკლებობაა, როგორც ინსტიტუციურ, ასევე სახელმწიფო დონეზე“, — განაცხადა პრეზენტაციაზე „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის“ კვლევის ავტორმა ირინე დარჩიამ.

საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისთვის კვლევაში 34 რეკომენდაციაა მოცემული, მათ შორის არის: ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დოკუმენტებზე ორიენტირებული მიდგომიდან შინაარსზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა, პირობითი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ცნებების შემოტანა, ავტორიზაცია-აკრედიტაციის მკაფიო კრიტერიუმებისა და შეფასების ინდიკატორების შემუშავება, ხარისხის განვითარების ცენტრის გაერთიანება საერთაშორისო ევროპულ ქსელში, აკადემიურ საზოგადოებაში ხარისხის კულტურის და კოლეგიალური შეფასების კულტურის შემოტანა-დამკვიდრება. კვლევაზე დაყრდნობით ასევე რეკომენდირებულია, რომ შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, კვლევებს და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებასაც შეეხებოდეს.

სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

პროექტის „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში — რეფორმის პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში განხორციელებული ანალიზი — „სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირდება. ექსპერტი ლალი ბაქრაძე კვლევაში საქართველოს უმაღლესი განათლების ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად ზალცბურგის სადოქტორო განათლების პრინციპების ქართულ რეალობაში ნაწილობრივ ასახვას გამოყოფს, რაც ვლინდება დოქტორანტთა გაცვლით პროგრამებში ჩართვისას, რადგან არსებული კანონი ინტერნაციონალიზაციის პროცესის განხორციელებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის. ანალიზის დროს გამოიკვეთა სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმების ხარვეზებიც, რომლებიც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების აკრედიტაციის ანალოგიურია. უმაღლესი განათლების სფეროს ამ ნაწილშიც აქტუალურია სახელმწიფო დაფინანსების საკითხი. ანალიზის მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოში დოქტორანტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა პარალელურად დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა. როგორ კვლევის პრეზენტაციაზე „ტემპუსის ეროვნული ოფისის“ ხელმძღვანელმა ლიკა ღლონტმა აღნიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები ამ შემთხვევაშიც აქტუალურია, რადგან დოქტორანტთა მატება რიგ შემთხვევებში უმუშევრობის გადავადებითა და გარკვეული სტატუსის ძიებით არის გამოწვეული და არა კვლევითი საქმიანობისადმი მძაფრი ინტერესით. ლიკა ღლონტმა წარმოადგინა ასევე ის ძირითადი რეკომენდაციებიც, რომელიც სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის მიმართულებით სიტუაციური ანალიზის შედეგად გაიწერა.

„ჩვენი რეკომენდაციებია — დაფინანსების მდგრადი ზრდა და ბლოგ-გრანტების სისტემის შემოღება. ეს გახლავთ თანხა, რომელიც კვლევისთვის გამოიყოფა, მაგრამ არსებობს სპეციალური ფორმულა, რითაც გრანტის მოცულობის განსაზღვრა ხდება. ცხადია, ამ პროცესს წინ უნდა უსწრებდეს იმ მკვლევრების კომპეტენციის შეფასება, ვინც გრანტი უნდა მიიღოს. სხვათა შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნულ თემაზე დამატებით ინფორმაციის მიწოდება გვთხოვა, რაც კარგია, რადგან შესაძლოა ამ საკითხზე ფიქრი დაიწყონ. ცხადია, ასევე რეკომენდაციებს ვიძლევით, რომ შესაძლებელი გახდეს ინტერნაციონალიზაცია და კანონმდებლობაში წინააღმდეგობები დაიძლიოს. მნიშვნელოვანია შეიქმნას მოქნილი სტრუქტურა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში გაფანტულ სხვადასხვა დარგის მკვლევრებს გააერთიანებს და დოქტორანტებს მეცნიერებთან აქტიური კონტაქტის საშუალებას მისცემს. რასაკვირველია, აუცილებელია სადოქტორო პროგრამებისთვის აკრედიტაციის ახალი კრიტერიუმების შემუშავება“, — განაცხადა „ტემპუსის ეროვნული ოფისის“ ხელმძღვანელმა ლიკა ღლონტმა.

უმაღლესი განათლება და დასაქმება

2012 წელს „განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტმა“ განახორციელა კვლევა, რომლის მიზანიც საქართველოში განათლების უკუგების მაჩვენებლის დადგენა გახლდათ. უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ურთიერთმიმართების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციებიც სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა. ეს ინფორმაცია გახლდათ ერთერთი მყარი არგუმენტი, თუ რატომ უნდა გაიზარდოს საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსება, რადგან კვლევის მიხედვით „უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ მაღალია. სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირთან შედარებით ორჯერ იზრდება. მაგისტრატურის დამთავრება უმაღლესი განათლების მქონე პირს არ უზრუნველყოფს სახელფასო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნამატით, თუმცა მისი დასაქმების შანსი 70%-ით მაღალია ბაკალავრიატის დიპლომის მქონე პირთან. უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში, დაახლოებით, დროის იმავე მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე ევროპის სხვა ქვეყნებში“.

„პრინციპში უკუგება აშკარაა, უმაღლეს განათლებაში ჩადებული ფინანსები არ იკარგება და სახელმწიფოს გადასახადების სახით უბრუნდება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია სპეციალობების მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო დარგებს დიფერენცირებულად აფინანსებს. ასეთი გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ანალიზს. ასევე, მინდა გითხრათ, რომ უმაღლესი განათლების მიღება არის კარგი ინსტრუმენტი სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ეს უფრო კარგად უნდა იყოს ასახული უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემაში“, — განაცხადა „უმაღლესი განათლებისა და დასაქმების“ კვლევის ავტორმა, ექსპერტმა თამარ ბრეგვაძემ.

მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ავტორმა აღნიშნული კვლევის შედეგად წარმოადგინა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევითი ინსტრუმენტების მოდიფიცირება გახლავთ, რაც შესაძლებელს გახდის განათლების საფეხურებისა და სპეციალობების მიხედვით სახელმწიფოს შემოსავლის დაანგარიშებას. ამ ცვლილების განხორციელება ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების პოლიტიკის სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას.

მოამზადა **ნატო ობოლაძემ**

დაფინანსებული 135 დოქტორანტიდან 60 (44%) თსუ-ის დოქტორანტია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 60 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი სწავლის გადასახადს, სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას დაუფინანსებს. არსებული მონაცემები გამოქვეყნდა გასულ კვირას, როცა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისათვის წელს პირველად გასცა სახელმწიფო გრანტი. კონკურსზე წარდგენილი განცხადებები უცხოელმა ექსპერტებმა შეაფასეს.

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ორგანიზება გაუკეთა საკონკურსოდ გამოყოფილი თანხის სტრუქტურირებას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გამარჯვებულ კონკურსანტთა რაოდენობა.

ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტების რაოდენობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უპირობო ლიდერია. დაფინანსებული 135 დოქტორანტიდან 60 (44%) სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაა, რაც იმის დასტურია, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი პოტენციალი კვლავაც მაღალია.



დოქტორანტურის საგრანტო კონკურსის შედეგები

მაჩვენებლების მიხედვით, ყველაზე მაღალი შეფასება — 100 ქულა დაიმსახურა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის დოქტორანტმა მაია სვანაძემ თემისთვის „ბლანტი თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის სიცარიელით“ (ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი ჯაიანი).

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საგრანტო კონკურსში პირველი სწორედ უნივერსიტეტის დოქტორანტი ყოფილიყო და ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს პირველი მე აღმოვჩნდი. თემა, ფაქტობრივად, დასრულებულია და ჩემთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უცხოეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რადგან საინტერესოა უცხოელი კოლეგების მოსაზრებები იმ თემაზე, რაზეც ვმუშაობ, ამიტომ საგრანტო განაცხადში შევიტანე სამივლინებო დაფინანსება ორ საერთაშორისო კონფერენციაზე. ერთი გაიმართება ესპანეთში, ხოლო მეორე — გერმანიაში. ასევე დამიფინანსდა მივლინება ჩემს უცხოელ ხელმძღვანელთან გოტინგენის უნივერსიტეტში, რომ საბოლოო შესწორებები შევიტანოთ სადოქტორო ნაშრომში. მოხარული ვარ, რომ ამ საგრანტო დაფინანსებამ ძალიან ბევრი პრობლემა მომიხსნა, რადგან დოქტორანტისთვის ძნელია თანხის მოძიება“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მაია სვანაძემ.

მაია სვანაძე

რაც შეეხება ფაკულტეტებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სულ წარდგენილი იყო 99 საგრანტო განაცხადი, მათგან ყველაზე მეტი დოქტორანტი დაფინანსდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (26 დოქტორანტი). შესაბამისად, მას მოჰყვებიან ეკონომიკისა და ბიზნესის (11 დოქტორანტი), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (9 დოქტორანტი), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (8 დოქტორანტი) და იურიდიული (6 დოქტორანტი) ფაკულტეტები.

„დოქტორანტების დაფინანსება უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა განათლების სისტემაში, რადგან სწორედ ამ საფეხურზე ეყრება საფუძველი ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალს. სასიხარულოა, რომ რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დოქტორანტებისათვის ფინანსური ხელშეწყობა დაიწყო და წელს პირველად 902 197 ლარი გამოყო ამ მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსება ეხება არა მხოლოდ დოქტორანტურაში სწავლის საფასურს, არამედ კვლევის სხვადასხვა ელემენტებსაც — უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირებას, სამეცნიერო კონფერენციებსა და მივლინებებს. შესაბამისად, დოქტორანტებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ ადეკვატური დაფინანსება მიეღოთ წარდგენილი პროექტების საფუძველზე. იმ ფაქტმა, რომ ყველაზე მეტი — 60 დოქტორანტი დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მაღალია უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი და რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტია საქართველოში. უახლოეს ხანში ველოდებით პრეზიდენტის გრანტების შედეგებს ახალგაზრდა მეცნიერთათვის და დარწმუნებული ვარ, იქაც კარგი მაჩვენებლები დაფიქსირდება,“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ღვედაშვილმა.

ცნობისათვის: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან დაფინანსდა 37 დოქტორანტი (საერთო ფინანსური განაცხადის 27 %), ილიაუნიდან — 17 დოქტორანტი (13 %).

გამოცდილება

ლექცია თემაზე: „უნგრეთის ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ“

სულ ცოტა ხნის წინ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექნიკური პარაფირების პროცესი დასრულდა, რაც ქვეყნის ევროპულ არჩევანს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებული ტექსტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ერთერთი მიზანი მხარეებს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებაა. მან უნდა უზრუნველყოს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი საქართველოს მოქალაქეებისადმი. ეს ხელშეკრულება შექმნის ახალ გარემოს ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისთვის. ამ გადმოსახედიდან, ქართველი სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ უცხოელი სპეციალისტების აზრი და გამოცდილება, ვინც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში. სწორედ ამ მიზნით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრამ უნგრელი და პოლონელი პროფესორები მოიწვია, რომლებმაც სტუდენტებს საკუთარი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს და ევროკავშირში განევრიანების შედეგებიც გააცნეს.

თამარ დადიანი

მიმდინარე წლის 2-4 დეკემბერს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს უნგრელი პროფესორი დანიელ კუტორი ეწვია. ასოცირებული პროფესორი დანიელ კუტორი მისკოლკის უნივერსიტეტსა და მსოფლიო და რეგიონული ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწეობს. მისი ლექციის თემა იყო: „უნგრეთის ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ“.

ლექციების კურსი განკუთვნილი იყო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის სტუდენტებისთვის. თუმცა, თემატიკიდან გამომდინარე, ლექციებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია სხვა მოდულების მაგისტრებსა და, ასევე, დოქტორანტებში. პროფესორმა კუტორმა საინტერესოდ მიმოიხილა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც უნგრეთი ევროკავშირში გაწევრიანების წინა პერიოდში აღმოჩნდა.

საინტერესო იყო პროფესორ კუტორის მოსაზრება საქართველოსთან მიმართებაში: „საქართველომ არ უნდა დააჩქაროს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი. საქართველომ, პირველ რიგში, უნდა გააძლიეროს თავისი ქვეყნის ეკონომიკა, რადგან სუსტი ეკონომიკის შემთხვევაში შეიძლება დაკარგოს სასოფლო-სამრეწველო წარმოების ტრადიციები, ასევე, შეიძლება უარის თქმა მოუწიოს ეროვნულობაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე. გასათვალისწინებელია უნგრეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების მაგალითიც, სადაც მოსახლეობის ერთი მეათედის მიგრაცია მოხდა სხვა ქვეყნებში“, — აღნიშნა მან.

პროფესორ კუტორის ლექციები საერთაშორისო გრანტის „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება ახორციელებს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის დაფინანსებით. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულების პროფესორი რევაზ გველესიანი, პროექტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი – თსუ-ის დოქტორანტი გიორგი ყუფარაძე, პროექტის სამეცნიერო კონსულტანტები – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი და თსუ-ის დოქტორანტი ნანა მაისურაძე. აღნიშნული გრანტის ფარგლებში შეიქმნა სასწავლო კურსი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ეკონომიკური პოლიტიკის მოდული სტუდენტებისთვის და შემუშავდა სალექციო მასალები. სასწავლო კურსს უძღვება ეკა ლეკაშვილი.

თსუ პროფესორს ლადო ჭანტურიას გერმანიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

22 ნოემბერს კილის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა თსუ-ის პროფესორს ლადო ჭანტურიას. ამასთან დაკავშირებით კილის ხელოვნების მუზეუმის სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა. უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ფუკემ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა მაიერ-პრიტცელმა და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ალექსანდერ ტრუნკმა ისაუბრეს ლადო ჭანტურიას ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობაზე, მის გამორჩეულ როლზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების პროცესში და კილის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესსა და საერთაშორისო პროექტებში მის მიერ შეტანილ ღვაწლზე. საზეიმო სხდომაზე წაიკითხეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მიმართვა, რომლითაც მან დამსწრე საზოგადოებას აუწყა გერმანიაში საქართველოს ელჩად ლადო ჭანტურიას დანიშვნის შესახებ.

თავის საზეიმო მოხსენებაში ლადო ჭანტურიამ ისაუბრა საქართველოზე და საქართველოში გერმანიის მხარდაჭერით განხორციელებულ სამართლებრივ რეფორმებზე, სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, გერმანიის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მიერ ახალგაზრდა თაობის იურისტების მომზადების საქმეში შეტანილ წვლილზე. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართული სამართლის ევროპეიზაციის მნიშვნელობას როგორც საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა, ისე ქართული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში. ამ თვალსაზრისით ხაზგასმით აღინიშნა ვილნიუსის სამმიტზე ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებისა და მომავალი ერთი წლის განმავლობაში მისი ხელმოწერის ისტორიული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ლადო ჭანტურია არის პირველი ქართველი მეცნიერი იურისტი, რომელსაც გერმანიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ კილის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება უკანასკნელად ათი წლის წინ იქნა მინიჭებული.

სტუდენტური თვითმმართველობის ახალი კონცეფცია

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების საინიციატივო ჯგუფი სტუდენტური თვითმმართველობის ახალ კონცეფციაზე მუშაობს. კონცეფცია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის — GPAC-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ყალიბდება. საინიციატივო ჯგუფის მიზანი თვითმმართველობის ისეთი მოდელის შემოთავაზებაა, რომლის საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე და სტუდენტების უფრო ფართო სპექტრზე იქნება ორიენტირებული, რისთვისაც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და მუშაობის პრაქტიკა გააანალიზეს. თვითმმართველობის საქმიანობის თემაზე ასევე ჩაატარეს თსუ-ის სტუდენტების სოციოლოგიური გამოკითხვაც. სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა ახალი კონცეფციის შემუშავების პროცესში ევროპული უნივერსიტეტების მაგალითზე სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს ტიპებიც შეისწავლა. მკვლევართა ჯგუფს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ალექსანდრე ცაგარელი და გიორგი გაბელია ხელმძღვანელობენ.

„სტუდენტური თვითმმართველობის კვლევის პირველი ეტაპი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის გაანალიზებას მოიცავდა. შევისწავლეთ — თუ რა ეტაპები გამოიარა თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ; როგორ ვითარდებოდა; როგორ ურთიერთობაში იყო სახელისუფლებო პარტიასთან; როგორ მოხდა ვარდების რევოლუციის შემდეგ ,,ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდულ ფრთასთან სტუდენტური თვითმმართველობის სრული კონსოლიდაცია და ა.შ. ხოლო ბოლო ეტაპი იყო მათი და „ლაბორატორია 1918"-ის ურთიერთქმედებები. რაც შეეხება ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოების შესწავლის მიზანს, ჩვენ გვინდოდა თსუ-ის მოქმედი თვითმმართველობის მანკიერი მხარეების გამოვლენასთან ერთად შემოგვეთავაზებინა ალტერნატიული მოდელი. ეს მოდელი არ არის ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში არსებულის ზუსტი ასლი, იგი მათი გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული თვითმმართველობის ახალი კონცეფცია გახლავთ, რომელიც ქართულ რეალობასაა მორგებული. ჩვენი პროექტის შესახებ თსუ-ის მოქმედ სტუდენტურ თვითმმართველობას ინფორმაცია მივაწოდეთ, თუმცა მათი პოზიცია ჯერ არ ვიცით", — განაცხადა პროექტის მენეჯერმა გიორგი გაბელიამ.

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურის კვლევისას საინიციატივო ჯგუფის წევრებმა თსუ-ში მოქმედი თვითმმართველობა დადებითად მხოლოდ ერთი თვალსაზრისით — გუნდური მუშაობის უნარით შეაფასეს, რაც, მათი აზრით, თვითმმართველობის მიზნებისა და მისი ხელმძღვანელობის ინტერესების სწრაფ და შედარებით ეფექტიან განხორციელებას უწყობს ხელს. რაც შეეხება ორგანიზაციის უარყოფით მხარეებს, სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის კვლევაში აღნიშნულია, რომ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობას მმართველობის ვერტიკალური ფორმით ახორციელებს, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვითმმართველობის რიგითი წევრები ნაკლებად მონაწილეობენ. სისტემა ჩაკეტილია და არ არსებობს მათი საქმიანობის მონიტორინგის დამოუკიდებელი სამსახური, არ არსებობს არც სტუდენტური პროექტების დაფინანსების ალტერნატიული ფონდი, რაც უნივერსიტეტის სტუდენტების უფლებების დარღვევას განაპირობებს. პრობლემას წარმოადგენს წევრების ინიციატივების ნაკლებობა და დაბალი მოტივაციაც. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფის წევრების დასკვნით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედი ფორმით განვითარება ნაკლებად შესაძლებელია და აუცილებელია ორგანიზაციის ახალი კონცეფციით ამოქმედება.

> ახალი ხედვა: სტუდენტურ თვითმმართველობებს ქვეყნის მმართველ პარტიასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეთ და არც საკუთარ ბიუჯეტს უნდა განაგებდნენ.

„ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფცია თვითმმართველობის დეპარტამენტების გაუქმებას და ამ ორგანიზაციისთვის მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციის შენარჩუნებას ითვალისწინებს. ისინი უნდა წარმოადგენდნენ სტუდენტებს საფაკულტეტო საბჭოებსა და სენატში, სადაც თსუ-ის ბიუჯეტის და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები წყდება. სხვა აქტივობა ინსტიტუციურად გარანტირებული არ უნდა ჰქონდეთ. ისმის კითხვა — ხომ არ მოახდენს სტუდენტური ცხოვრების პარალიზებას სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტების გაუქმება? პასუხად საქართველოს უნივერსიტეტის მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, სადაც სტუდენტები სხვადასხვა პროექტებს თავად ახორციელებენ და ღონისძიებებიც ხარისხობრივად საკმაოდ მაღალია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში მართვის ჰორიზონტალური მოდელი უნდა არსებობდეს, რადგან აუცილებელია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მეტი ადამიანი იყოს ჩართული.

სტუდენტური ინიციატივების განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად კი ცალკე საუნივერსიტეტო ფონდი უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც არ იქნება სტუდენტური თვითმმართველობის დაქვემდებარებაში. ფონდის ძირითადი ფუნქცია სტუდენტთა პროექტების შერჩევა და მათი დაფინანსება იქნება. რაც შეეხება ფონდის საბჭოს, მის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელიც და აუცილებლად უნდა გამოიყოს კვოტა პროფესორებისთვისაც. ასეთი სახის ცვლილება თანაბარ პირობებში ჩააყენებს სტუდენტებსა და სტუდენტურ თვითმმართველობას", — განაცხადა ალექსანდრე ცაგარელმა.

ახალი კონცეფციის შემუშავების პროცესში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფის წევრები სტუდენტთა სოციოლოგიურ გამოკითხვაში მიღებულ შედეგებსაც ითვალისწინებენ. გამოკითხვაში მონაწილეობა თსუ-ის 200-მა სტუდენტმა მიიღო. კვლევა ანკეტირებისა და ფოკუს ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებით ჩატარდა. შედეგების მიხედვით, სტუდენტების უმრავლესობა სტუდენტურ თვითმმართველობას გაუმჭვირვალე ინსტიტუციად აფასებს, მის სტრუქტურას მიუღებლად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ თვითმმართველობა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს კარგად ვერ ასრულებს.

გთავაზობთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში სტუდენტებისთვის დასმულ კითხვებსა და მიღებულ შედეგებს:

რამდენად ასრულებს არსებული თვითმმართველობა მის რეალურ ფუნქცია-მოვალეობებს?

— 70% — ვერ ასრულებს; 8% — უფრო ასრულებს, ვიდრე არა; 12% — უფრო ვერ ასრულებს, ვიდრე ასრულებს; 6% — სრულად ასრულებს.

რამდენად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა?

— 70% - სრულად გაუმჭვირვალეა; 20% — უფრო გაუმჭვირვალეა; 8% — უფრო გამჭვირვალეა; 2% - სრულად გამჭვირვალეა.

რამდენად მისაღებია თქვენთვის არსებული თვითმმართველობის სისტემა?

— 80% — უფრო მიუღებელია, ვიდრე კი; 25% — სრულიად მიუღებელია; 10% — უფრო მისაღებია, ვიდრე არა; 2,5% — სრულიად მისაღებია; 5% — არ ვიცნობ არსებულ მოდელს.

უნდა იყოს თუ არა სტუდენტური თვითმმართველობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართული?

— 40% — უნდა იყოს ჩართული; 28% — არ უნდა იყოს ჩართული; 32% — მიჭირს პასუხის გაცემა.

ვის მიერ უნდა წარიმართოს სტუდენტური ცხოვრება და აქტივობა?

— 50% — დამოუკიდებელი კლუბებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ; 25% — სტუდენტური თვითმმართველობის მიერ; 10% — უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ; 15% — მიჭირს პასუხის გაცემა.

არის თუ არა სტუდენტურ თვითმმართველობაში მოხვედრა კარიერული წინსვლის წინაპირობა?

— 35% - დიახ; 40%- არა; 25% — მიჭირს პასუხის გაცემა.

[redacted]

გამოკითხვისას ასევე დასმული იყო ღია კითხვები, პასუხები სტუდენტებს წერილობითი სახით უნდა ჩამოეყალიბებინათ. მათ შორის იყო კითხვა — რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები. პასუხებში ძირითადი აქცენტი რამდენიმე მახასიათებელზე გაკეთდა. ესენი გახლავთ — მაღალი პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობების ცოდნა, ორგანიზაციული ნიჭი და ქვეყნის მმართველ პარტიასთან კავშირის არ ქონა. ღია კითხვარს მიეკუთვნებოდა კითხვა სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის შესახებაც. პასუხების ანალიზის მიხედვით, სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას საკუთარი ბიუჯეტი არ უნდა ჰქონდეს და ბიუჯეტის შედგენა-ფორმირება ცალკე ორგანოს მიერ, სტუდენტებთან ერთად, ინტენსიური საჯარო განხილვების შედეგად უნდა ხდებოდეს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის — GPAC-ის მიერ დაფინანსებული პროექტი დეკემბრის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრები განხორციელებული კვლევის შედეგებსა და სტუდენტური თვითმმართველობის ახალი კონცეფციის საბოლოო ვარიანტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენენ. ახალ კონცეფციას უახლოეს მომავალში გააცნობენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში შექმნილ კომისიასაც, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირების საკითხებზე მუშაობს. საინიციატივო ჯგუფს ასევე დაგეგმილი აქვს ღონისძიებები, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუციის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდას ითვალისწინებს. მათ შორის არის საჯარო ლექციები, რომლებსაც მარინა მუსხელიშვილი და ბაქარ ბერიკაშვილი წაიკითხავენ. ამ ეტაპზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრები კვლევის შედეგებს და სტუდენტური თვითმმართველობის ახალ კონცეფციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აცნობენ.

პროფესორ-მასწავლებლები ახალ მედიაში გადამზადდნენ

29 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელებს „დოიჩე ველეს" აკადემიის სერტიფიკატები გადაეცათ.

ტრენინგი, რომელიც „დოიჩე ველეს" აკადემიის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა, 18-დან 29 ნოემბრამდე გრძელდებოდა და მას „დოიჩე ველეს" აკადემიის ტრენერები — ტორნსტენ კარგი და გაი დეგენი უძღვებოდნენ. ტრენინგში ჩართული იყო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების 9 პროფესორი.

კვალიფიკაციის ამაღლების კურსის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლები ახალ მედიაში გადამზადდნენ. გადამზადების შედეგად მომავალი სემესტრიდანვე განახლდება ჟურნალისტიკის პროგრამების სილაბუსები, დაინერგება ინოვაციური სწავლების მეთოდები.

სერტიფიკატების გადაცემის ღონისძიებაზე თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა მარიამ გერსამიამ მსგავსი ტრენინგების მნიშვნელობაზე ისაუბრა. „ეს იყო პრაქტიკული გადამზადების კურსები იმ პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მოდულებში პრაქტიკულ კურსებს უძღვებიან. ტრენინგის მიზანი გახლდათ ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში. ყველა, ვინც ამ ტრენინგში იყო ჩართული, მადლობას უხდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და „დოიჩე ველეს" აკადემიას, ასეთი შესაძლებლობის მოცემისთვის. ჩვენ უკვე დავიწყეთ ახალი მეთოდების დანერგვა, მომავალი სემესტრიდან სილაბუსებში ყველა იმ ინოვაციას გავითვალისწინებთ, რაც ამ ტრენინგზე შევისწავლეთ", — განაცხადა მან.

მონაწილეებს „დოიჩე ველეს" სერტიფიკაცები თსუ-ის რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გადასცა. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი წამოწყება, რომელიც თანამშრომლობაზეა დაფუძნებული, საბოლოოდ დადებით შედეგებს გამოიღებს, მით უფრო, რომ ამგვარ პროექტებში პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ

125

12 –13 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებლის, გამოჩენილი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება.

12 დეკემბერს, 11 საათზე, კონფერენციის მონაწილენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში გვირგვინით შეამკობენ შალვა ნუცუბიძის ძეგლს, რის შემდეგაც დაესწრებიან პარაკლისს. ასევე დაგეგმილია შალვა ნუცუბიძის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა თსუ-ის მუზეუმში. გამოფენაზე გამოტანილი იქნება მისი პირადი არქივი და სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

ამავე დღეს გაიხსნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ მეცნიერები რუსეთიდან, ფინეთიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან.

კონფერენციის ფარგლებში პროფესორი ბასილ ლურიე (სანკტ-პეტერბურგი) წარმოადგენს შალვა ნუცუბიძის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის ელექტრონულ ვერსიას.

თსუ შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავს აღნიშნავს

შალვა ნუცუბიძის „თეზისი“: დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს

შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ცნობილი უცხოელი პროფესორები არეოპაგეტიკის შესახებ მეცნიერულ მსჯელობას გამართავენ. დასავლეთში არეოპაგიტული კორპუსის შესახებ ინტერესის ახალ ტალღაზე საუბრობს ფილოსოფიის დოქტორი დემურ ჯალაღონია, რომელიც კონფერენციაზე განსახილველ თემატიკას წარმოგვიდგენს.

დემურ ჯალაღონია,
ფილოსოფიის დოქტორი:

— შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან ცხადია, უნდა გამოიყოს არა მარტო ალეთოლოგიის (მოძღვრება ჭეშმარიტებაზე) დაფუძნება, არამედ აღმოსავლური რენესანსის თეორიაც, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია თავის დროზეც და დღესაც დიდი ინტერესია ამის მიმართ.

ამა წლის 12 დეკემბრის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების იდეა უცხოელი მეცნიერებიდან წამოვიდა. ნუცუბიძის თეორიებით ძალიან დაინტერესდა ცნობილი პროფესორი ბასილ ლურიე, რომელიც თბილისში 11 დეკემბერს ჩამობრძანდება. ის წაიკითხავს მოხსენებას, რომელიც არეოპაგეტიკის საკითხებს ეხება. გარდა ამისა, ველოდებით პროფესორ კორნელია ჰორნის (ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია), რომელიც გაგვაცნობს თავის მოხსენებას თემაზე: „ქრისტიანული აპოკრიფა და ქართული ლიტერატურა: Status quastinis და წინასწარი კვლევის პერსპექტივა“; ტუომო ლანკილას (ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი), რომელიც წაიკითხავს მოხსენებას „განახლებული დისკუსია არეოპაგიტული კორპუსის ავტორობის შესახებ“ და სხვებს. როგორც ჩანს, არეოპაგიტული კორპუსის შესახებ ინტერესის ახალი ტალღა იწყება და დასავლეთი შეუბრუნდა ამ თეორიას. რაც შეეხება კრებულს, რომელიც ამ კონფერენციაზე ბასილ ლურიეს მიერ იქნება წარმოდგენილი, ვფიქრობ, ის კიდევ ერთხელ ჩაუყრის საფუძველს არეოპაგეტიკის შესახებ მეცნიერულ მსჯელობას.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან შალვა ნუცუბიძემ გააკეთა ასეთი განაცხადი: დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დავძლევთ დასავლეთის აზროვნებას; უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთებიც არსებობს. მთელი მისი შემოქმედება ემსახურებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ თეზისის „გახსნას“. მან რთული მისია დაისახა მიზნად. ეს მიზანი დღევანდელი გადასახედიდან ერთი დიდი პროექტია და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ პროექტიდან თუნდაც ერთერთი პუნქტის შესრულებას შეძლებდა, ძალიან დიდ პიროვნებად წარმოჩნდებოდა.

შალვა ნუცუბიძის სახელი ორ დიდ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას უკავშირდება. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების ავტორია მე-5 საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით კი მან საკაცობრიო აზროვნებასა და კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა. აღმოსავლური რენესანსი საუკუნეებით უსწრებს დასავლეთისას. დასავლეთის კულტურის ძირები აღმოსავლეთშია... როგორც შალვა ნუცუბიძე იტყოდა, ფსევდო დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება მე-5 საუკუნის სიმფონიაა. ბატონი შალვას შემოქმედება მიძღვნილი იყო აღმოსავლური რენესანსის თეორიის შესაქმნელად, სწორედ ამიტომ ბრძანა: ბოლო უნდა მოეღოს დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებასო. ამ სიტყვებში არ გულისხმობდა დასავლეთ ევროპას. ამით იგი ამბობდა, რომ ჩვენ საუკუნეებით წინ ვუსწრებთ დასავლეთის რენესანსს, რაც მან აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით დაამტკიცა.

შალვა ნუცუბიძე: „როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტს“

დიდი ადამიანები უბრალოებაში იკარგებიან... ზოგჯერ იმდენად მიჩქმალულია ხოლმე მათი ქმედებანი, რომ თუ კონკრეტულად არ ჩაუღრმავდი თითოეულის პიროვნებასა და ღვაწლს, თუ ისტორიის გაცრეცილ ფურცლებზე მათ შესახებ ნაწერი კარგად არ ამოიკითხე, ისე „უცნობად“ დარჩებიან შენთვის, თითქოს დიდი არაფერი შეუქმნიათო ამ ქვეყნად... დიდი ადამიანები საკუთარ თავზე დუმან ყოველთვის... თანამდებობა, წოდება, დამსახურებული ეპითეტი თუ სახელი ერთ სიტყვასა თუ ფრაზაში გამოითქმის – მის უკან კი ბობოქრობს „სპეციფიკური ადამიანურისგან“ განთავისუფლებული სული, რომელიც წვდება იმ სივრცეს, რასაც ჭეშმარიტება ჰქვია... სწორედ ასეთ მაღალ ცას მისწვდა შალვა ნუცუბიძე თავისი ინტელექტით, რომელმაც თურმე უნივერსიტეტის დაარსებისთვის ბრძოლის იდეას ის კონცეფციაც დაურთო, რაც მისი ტაძრად და ქართველთა მომრიგებელ კერად ქცევას უკავშირდება. შალვა ნუცუბიძემ დიდ რუს მწერლებსაც კი მოაძებნინა რუსული სალიტერატურო ენის ღრმა თავისებურებანი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნით... მან ფილოსოფიური ძიებანის ის ვიწრო გზა განვლო, რის დაძლევასაც დიდ მოაზროვნეთა შორისაც კი ცოტა მოახერხებდა ალბათ... ამიტომაც არაერთხელ შეურაცხყვეს სიცოცხლეში – დევნა და გარიყვა არ აცდა სიმართლის გზაზე მავალს. საბჭოთა იმპერიის კლანჭი მხოლოდ ფიზიკურად შეეხო, გონება და სული კი ვერ დაუთრგუნა ჭეშმარიტი ადამიანობის გზაზე „წახეტიალებულ“ მგზავრს. მეცნიერული კვლევა-ძიებანით ირჩინა სახელი, რომელიც მუდამ ამოტივტივდება, როგორც კი პირველი ქართული უნივერსიტეტის ხსენების მიზეზი გაჩნდება.

სიცოცხლეში ის არ დააფასეს, უნივერსიტეტიდან დევნილ ორატორს, რომელზეც ლეგენდებიც კი დადიოდა, სიტყვასაც კი აღარ აძლევდნენ თავად უნივერსიტეტში, რუსთველოლოგს რუსთაველის იუბილეზე დასწრების გზასაც უჭრიდნენ... სწორედ ამიტომ მართებს მისი ვალი დღევანდელ თაობას, რომელიც ვალდებულიც კია ბევრი უკირკიტოს შალვა ნუცუბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებს.

ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვლევარი და ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტუროლოგი, მთარგმნელი, უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წლის 14 დეკემბერს სოფელ ფარცხანაყანევში. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ 1911 წელს ლაიფციგში მან წაიკითხა მოხსენებები ალეთოლოგიაზე. 1911-1914 წლებში ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტია. 1916-1918 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორია. 1918 წელს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებელთაგანი. 1918-1953 და 1960-1969 წლებში ამავე უნივერსიტეტის პროფესორია. 1920-1929 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი. 1925-1926 წლებში იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. 1927 წელს მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1944 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აღსანიშნავია, რომ 1919-1921 წლებში შალვა ნუცუბიძე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან: დაპატიმრებული იყო 1938-1940 წლებში, 1953-1960 წლებში გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.

დიდი მეცნიერი 1969 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში. წლების შემდეგ რეაბილიტირებული შალვა ნუცუბიძის სახელი მიენიჭა საბურთალოს რაიონის დასახლებას, რომელსაც დღესაც ეს სახელი ჰქვია.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔᲡ

ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეის მიმართ საზოგადოებრივი აზრი ერთიანი არ იყო. აზრთა სხვადასხვაობის გამო სერიოზული დაპირისპირება უძღოდა წინ უნივერსიტეტის გახსნას. არსებობდა მოსაზრება, რომ დაარსებულიყო ქართული ტექნიკური უნივერსიტეტი (ეს გახლდათ ნიკო ნიკოლაძის იდეა). შეხვედრაზე, რომელზეც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ივანე ჯავახიშვილმა პირველი სიტყვა ბატონ შალვა ნუცუბიძეს დაუთმო შემდეგი სიტყვებით: მიდი, შალვა, აბა შენ იცი, დასცხე შენებურადო!

შალვა ნუცუბიძემ, თავისი ბრწყინვალე ორატორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნამდვილად მოახერხებდა აუდიტორიისა და მთელი ქართული საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ აქ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო და არა რომელიმე სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, ტექნიკური უნივერსიტეტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შალვა ნუცუბიძეს ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მიზნით რუსეთშივე დაევალა აქტიური კავშირების დამყარება იქ მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან, რათა შეექმნა ის ბირთვი, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი კომუნიკაციისა და ურთიერთობების პრობლემას, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად რთული ამოცანა გახლდათ ასეთი კავშირების დამყარება და მეცნიერთა თავმოყრა.

შალვა ნუცუბიძე 9 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრორექტორი, კათედრის გამგე... მისი უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში არაერთ სპეციალობასა და ახალ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი. ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის მიმართ. როგორც პრორექტორი, იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მზად იყო თავის თავზე აეღო ბევრი ადმინისტრაციული და მიმდინარე ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, რათა ივანე ჯავახიშვილს, როგორც დიდ მეცნიერს, ჰქონოდა შესაძლებლობა — მეტი დრო დაეთმო მეცნიერული კვლევისათვის.

შალვა ნუცუბიძის ინიციატივითაა დაარსებული უნივერსიტეტის იურიდიული, ეკონომიკური და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები.

შალვა ნუცუბიძე

მე-8 გვერდზე

თსუ შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავს აღნიშნავს

მეშვიდე გვერდიდან

შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიური სკოლა

შალვა ნუცუბიძე მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან 70 წლამდე ამშვენებდა ქართულ საზოგადოებას. იგი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, აღმოსავლური რენესანსის თეორიის შემქმნელი, დიდი მთარგმნელი, რუსთველოლოგი, მჭერმეტყველი და დიდი ორატორი. მისი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვა საქვეყნოდ ცნობილი გახლდათ. მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ...

შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს ორ პერიოდად. პირველ პერიოდს ვუწოდებ მეტაფიზიკურ პერიოდს — ეს არის ორიგინალური აზროვნების პერიოდი, ხოლო მეორე პერიოდი — ეს არის ქართული ფილოსოფიის ისტორიის შექმნისა და ქართულ კლასიკურ სააზროვნო სივრცეში აღმოსავლური რენესანსის იდეის წამოჭრის პერიოდი. მეტაფიზიკური პრობლემატიკის ორიგინალურ პერიოდზე სპეციალურად შევჩერდები. რას ეძებდა შალვა ნუცუბიძე ალეთოლოგიურ რეალიზმში? იგი იკვლევდა, თუ რა არის ჭეშმარიტება? შესავალში ამბობს, რომ ზედა საფეხურზე ფილოსოფია არ არის საჭირო, ხოლო ქვედა საფეხურზე არ სჭირდებათ ფილოსოფია, ანუ ღმერთისთვის ფილოსოფია არ არის საჭირო, ცხოველთა სამყაროსთვის კი ფილოსოფიის გაგება მიზანშეწონილი არ არის. ე.ი. ფილოსოფოსობა ადამიანის უპირატესი უნარია. იმისათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს ჭეშმარიტებას, საჭიროა იგი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისაგან. თუ ადამიანი ამისგან არ გათავისუფლდა, ისე იგი ჭეშმარიტებას, ანუ ღმერთს ვერ ჩასწვდება. შალვა ნუცუბიძის მთელი ნაშრომი სწორედ იმის გარკვევას მიეძღვნა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისგან და თუ მისგან გათავისუფლდა, მაშინ როგორ შეიძლება იგი, ამავე დროს, დარჩეს ადამიანად. ანუ, მისი აზრით, ადამიანში არის უფრო მეტი და ეს მეტი არის ის ირაციონალური, რომლითაც ადამიანი წვდება იმ საიდუმლოებას, რომელიც მასზე მეტია.

რატომ შეაჩერა შალვა ნუცუბიძემ კვლევა ამ მიმართულებით? ტოტალიტარული რეჟიმის დროს ფილოსოფია იქცა იდეოლოგიის მსახურად და იგი იძულებული იყო მოეძებნა მეორე გზა, რომელიც ფილოსოფიას ზიანს არ მიაყენებდა. მან სცადა ქართული ფილოსოფიური წიაღისკენ მიბრუნება და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აქაც დიდ წარმატებებს მიაღწია. შექმნა ქართული ფილოსოფიური ისტორიის ორტომეული. რაც ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა საქართველოს ისტორიისთვის, იგივე ღვაწლი დასდო შალვა ნუცუბიძემ ქართული ფილოსოფიის ისტორიას ამ ორტომეულით.

* * *

შალვა ნუცუბიძემ დიმიტრი უზნაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას. დიმიტრი უზნაძე ამ დროს გახლდათ ფილოსოფოსი და თვითგადარჩენისთვის მასაც უნდა ეძებნა მეორე გზა. ეს გზა ფსიქოლოგიაში წასვლა იყო, რაც დააგვირგვინა განწყობის თეორიის შექმნით. ასე რომ, შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიური სკოლა, ხოლო დიმიტრი უზნაძემ — ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.

* * *

შალვა ნუცუბიძე იყო რუსთველოლოგი. მისი მონოგრაფია „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“ იყო ახალი სიტყვა რუსთაველზე. იგი აღნიშნავდა, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობრივი კვლევა ქართული კულტურის პრობლემა არ არის. იგი კაცობრიობის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთობის პრობლემათა საკითხია. შალვა ნუცუბიძე იყო მთარგმნელი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანს“ რუსულ ენაზე ახალი სული შთაბერა. ალექსეი ტოლსტოი იტყვის, როდესაც გავეცანი შალვასეულ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“, ვნახე, თუ რა საიდუმლოებები იმალება რუსულ სალიტერატურო ენაში, ეს კი შალვა ნუცუბიძემ დამანახა. ერთხელ, დიმიტრი უზნაძეს შალვასთვის უთქვამს – ხომ არ შეცდი გზის არჩევაში, ეგებ, პოეტის დიდი გზა უფრო დაამშვენებდა შენს მომავალ ცხოვრებასო. ის იყო „ამირანის მითის“ ლექსად აღმდგენელი. და თამაზ ჩხენკელი ამაზე იტყვის: შალვა ნუცუბიძემ იცოდა, სად მთავრდებოდა ფილოსოფია და სად იწყებოდა პოეზია.

* * *

შალვა ნუცუბიძე იყო დიდი მასშტაბის მოაზროვნე, ტალანტი. რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ერთ ასეთ ამბავს ჰყვებიან: ცნობილი მეცნიერი და მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე ავად გამხდარა, ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ვერ იპოვეს ადამიანი, რომელიც მათემატიკაში მის ნაცვლად ლექციებს წაიკითხავდა. შალვა ნუცუბიძეს უთქვამს, მომეცით ერთი კვირა და უმაღლეს მათემატიკაში მე წავიკითხავ ლექციებსო. მჯერა, რომ იგი ღირსეულად გაართმევდა ამას თავს.

შალვა ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავლის წინასიტყვაობას ასე ასრულებს: „მშობლიურ ნიადაგზე მეცნიერების აღორძინებამ ფრთები შეასხა არაერთ ოცნებას. წინამდებარე წიგნი ნაწილია ამ ოცნებათა განხორციელების რიჟრაჟისა. მასში ბევრი ნაკლია, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების დღეს მოესწრება, გვაპატიებს იმ ბურუსს, რომელიც განთიადის თანმხლებია.“ შალვა ნუცუბიძემ ყველაფერი გააკეთა ამ ბურუსის გასაფანტად. მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართული მათემატიკური და ქართული ფსიქოლოგიური სკოლების გვერდით ქართული ფილოსოფიური სკოლაც არსებობს.

* * *

ბატონი შალვა მეგობრობდა საქართველოს პატრიარქთან კალისტრატე ცინცაძესთან. ერთ ღამეს პატრიარქს შალვა ნუცუბიძისთვის უთქვამს: როგორ დაამშვენებდით სიონის ამბიონს თქვენი ქადაგებებით. მაშინ შალვას სინანულით უპასუხია: პატრიარქი თუ არა, ეპისკოპოსი მაინც უნდა ვყოფილიყავიო. ბიბლიას, რომელიც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს ბატონი შალვასთვის უჩუქებია, ასეთი წარწერა აქვს: „ორთა ხუცესთა ნაშიერსა და სიბრძნისა მოყვარესა ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა მიუძღვნის ხუცესთა უხუცესი“. ორთა ხუცესთა ნაშიერი შალვა ნუცუბიძე გახლდათ, რომელსაც დედ-მამის მხრიდან ორივე ბაბუა მღვდელი ჰყავდა.

შალვა ნუცუბიძემ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მიუძღვნა სრულყოფილებისკენ სვლას, რამეთუ ფილოსოფია არის მოძრაობა სრულყოფილებისკენ, ჭეშმარიტებისკენ, ღვთისკენ... ხშირად ცდილობდნენ შალვა ნუცუბიძის შეჩერებას, მაგრამ მის „ყალყზე დამდგარ გონებას“ ვერაფერი დააკლეს. 1968 წლის ოქტომბრის ბოლო დღეებში მან კიდევ ერთხელ შეაბიჯა 93-ე აუდიტორიაში და წარმოთქვა: „ჩვენ, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ... (პაუზა) როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტს“ და გავიდა უნივერსიტეტიდან. მჯერა, რომ მისი სული ჩვენ ყველას ზეციური საქართველოდან დაგვნათის, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტს.

დემურ ჯალაღონია
პროფესორი

შალვა ნუცუბიძემ გამოიგონა ერთგვარი ფილოსოფიური თამაში — თვითონ შექმნა თამაშის წესებიც და ფიგურებიც

მეცნიერის მემკვიდრეობის აქტუალობა იზომება იმ ქმედითობის მიხედვით, რომელიც მას თანამედროვე კონტექსტში აქვს. შალვა ნუცუბიძის მდიდარი მემკვიდრეობიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვარჩიოთ ე.წ. ალეთეოლოგიური რეალიზმის თეორია და აღმოსავლური რენესანსის თეორია. რენესანსის თემაზე მსჯელობა ნიშნავს ჰუმანიზმის პრობლემაზე მსჯელობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს თემატიკა დღეს თანამედროვე ფილოსოფიური დისკუსიების ფოკუსშია მოქცეული. ეს არის ფილოსოფიური მსჯელობა ჭეშმარიტების არსის შესახებ და ჰუმანიზმის არსის შესახებ. სარტრმა და ჰაიდეგერმა, თავიანთი წერილებით ჰუმანიზმის შესახებ, შეაჯამეს მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ფილოსოფიური სიტუაცია და მომავლის ნიშნებზეც მიუთითეს. ამ თემის გარკვევას მიეძღვნა ე.წ. მოდერნულობისა და პოსტმოდერნულობის თეორიები და სხვ... რა არის Homo Humanis? ხომ არ ემუქრება მას გადალახვა ტექნოლოგიური მოდიფიკაციების ან ცივილიზაციათა შეჯახების პერსპექტივაში? ამ საკითხში გარკვევაა 21-ე საუკუნეში ფილოსოფიის ძირითადი ამოცანა. მაშასადამე, შალვა ნუცუბიძის მემკვიდრეობა „მეცნიერების ჩიხი“ კი არ არის, არამედ მაგისტრალურ ხაზზე გამყვანი გზაა.

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა შალვა ნუცუბიძის შემოქმედებით მეთოდზე, რომელიც არსებითად უკავშირდება ლამის ლეგენდად ქცეულ ნუცუბიძისეულ იუმორს. ესაა ე.წ. სოკრატული და კარტეზიანული მეთოდოლოგიური სკეფსისი — ანუ ყველაფრის ეჭვქვეშ დაყენება და ამ გზით უეჭველი ჭეშმარიტების გამოვლენა. სხვანაირად მას სოკრატული ირონიაც ეწოდება. ამ მეთოდით ხერხდება გაბატონებული სტანდარტების დარღვევა და აზროვნების თავისუფალ გზაზე გაყვანა. აქვე უნდა გავიხსენოთ დერიდეს დეკონსტრუქტივიზმის მეთოდი, ბახტინის პოლიფონიურობა, ბაშლიარის ინტერტექსტუალობა, და კიდევ უფრო ცნობილი ნიცშეს სასაცილო მეცნიერება, როგორც ინტერტექსტუალური თამაში ახალი წესებით. მისი მთავარი წესი ასეთია: თეზა შეიცავს (კოდირებულია) ფარულ საზრისს თავისივე ნეგატიურ-ირონიული ანტითეზის სახით. აქედან გამომდინარე, ნუცუბიძის „მემკვიდრეობა“ არ უნდა იქნას განხილული ტრადიციული „მეცნიერული თეორიის“ ფორმაში. ის უნდა გავიგოთ როგორც კონცეპტ-პესონაჟების ინტერტექსტუალური თამაში. ასეთი პერსონაჟებია ნუცუბიძისეული „ალეთეოლოგიური რეალიზმი“ და „აღმოსავლური რენესანსი“.

მაგალითად: ერთ დღეს ნუცუბიძემ ლექციაზე დააგვიანა. უნივერსიტეტის დერეფანში შეხვდა რექტორი, რომელმაც პირდაპირ ვერ გაუბედა ბატონ შალვას საყვედურის თქმა და მხოლოდ ის ჰკითხა — „ბატონო შალვა, როდის იწყება ლექცია?“ — „როცა ლექტორი აუდიტორიაში შევა“, — მიუგია შალვა ნუცუბიძეს. მისივე ნათქვამია — „სადაც მე ლექციას წავიკითხავ, ფილოსოფიაში ნიშანი სტუდენტს კი არა, მერხსაც ეკუთვნისო“. ბევრია ისეთი ხუმრობა, რომელსაც ვერც ერთი გაბედული ჟურნალისტი ვერ გადაიტანს ქაღალდზე. ეს არის კარნავალური ტიპის იუმორი, რომელშიც ხორციელდება ყალბი ცნობიერების დეფეტიშიზაცია, დესაკრალიზაცია. შალვა ნუცუბიძე სწორედ ამ მეთოდს იყენებდა. ეს მეთოდი ღიაა შემოქმედებითობისათვის და ინტერპრეტაციისთვის.

ცნობილია მოწინააღმდეგის დებულების დარღვევა მისი აბსურდამდე მიყვანით. ამ მეთოდს იყენებდა შალვა ნუცუბიძეც. მაგალითად, იგი წერდა, რომ იოანე პეტრიწი პანთეისტი-მატერიალისტი იყო, რაც სრული აბსურდია და მართლაც სასაცილოა. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ნუცუბიძის დებულებები მოძველებულია. სინამდვილეში, ნუცუბიძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ იოანე პეტრიწის მატერიალისტობაზე საუბარიც კი არ შეიძლება, მაგრამ ამით ის კომუნისტებს და მათ იდეოლოგიურ სტანდარტებს დასცინოდა, რადგან ამის დამჯერებელი ადამიანი, ფაქტობრივად, გამასხარავებულია.

არის კიდევ მეორე თეზისი, რომელიც ზოგიერთი თეოლოგის რისხვას იწვევს — თითქოს ეკლესიის დიდი მამები თეოლოგიურ სამოსში გახვეული ნეოპლატონიკოსები იყვნენ. ამით ნუცუბიძე ისევ იმ იდეოლოგიურ სტანდარტებს დასცინოდა.

შალვა ნუცუბიძესთან მიმართებაში ჩამოყალიბდა 4 ტიპის დამოკიდებულება. პირველი: ეპიგონობა. როგორც ყველა მოაზროვნეს, შალვა ნუცუბიძესაც ჰყავს ეპიგონები, ანუ მიმდევრები, რომლებიც მეცნიერებისთვის საინტერესონი არ არიან (აქვე უნდა ვახსენოთ ფარული პლაგიატორებიც). მეორე: პოლემისტები, რომლებიც, ფაქტობრივად,

მე-9 გვერდზე

შალვა ნუცუბიძე და ჩეხი მწერალი იარომირ იედლიჩკა

თსუ შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავს აღნიშნავს

მერვე გვერდიდან

საომარ მდგომარეობაში შედიან ნუცუბიძესთან, ცდილობენ ნუცუბიძის თეზისების სისტემის დესტრუქციულ დარღვევას. ეს პოლემისტური შეტევები სხვადასხვა მხრიდან ხორციელდება: ემპირიული მეცნიერებების პოზიციებიდან პოლემიკა, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებენ, რომ შალვა ნუცუბიძის თეზისები ფაქტებით არ დასტურდება; კრიტიკა თეოლოგიის პოზიციებიდან, რომლის მიხედვითაც ნუცუბიძის ჰიპოთეზები ერესად და მკრეხელობად მიიჩნევა: ზოგიერთი კრიტიკოსი კი მიიჩნევს, რომ შალვა ნუცუბიძის თეორიები ფილოსოფიურად არ არის დაფუძნებული. მესამე: ეს არის დისკუსიური დამოკიდებულება შალვა ნუცუბიძის ნააზრევთან, რომლის მიზანია საერთო ამოცანები გადაწყდეს. ესენი იმ ტიპის მეცნიერები არიან, რომელთაც მართლა აინტერესებთ, არის თუ არა დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერი, აინტერესებთ – მართლა დაიწყო თუ არა რენესანსი საქართველოში და ა.შ. მეოთხე — ეს არის ფილოსოფიურ დიალოგში შესვლა ნუცუბიძის ფილოსოფიურ შემოქმედებასთან.

ამ ოთხი დამოკიდებულებიდან ყველაზე რელევანტურია დიალოგი. ნუცუბიძის თეორიის მიხედვით ჭეშმარიტება არის „წინალოგიკური“ და „არსებულზე წარმატებული“. ამით ის ძლევს ე.წ. რელატივიზმს (ყველაფერი შეფარდებითია) და დეტერმინიზმს (ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია). შალვა ნუცუბიძის კრიტიკას მასთან დიალოგში შესვლა სჯობს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ შალვა ნუცუბიძე ქმნიდა ერთგვარ პერსონაჟებს, რომლებიც მოძრაობენ სპეციფიკურ ფილოსოფიურ სივრცეში. მაგალითად, მის მიერ შექმნილი ცონცეპტ-პერსონაჟებია ვარაუდები, რომ დიონისე არეოპაგელი არის ქართველი პეტრე იბერი, რომ რენესანსი დაიწყო საქართველოდან, რომ ჭეშმარიტება არის წინარელოგიკური და ა.შ. ეს ისეთი „პერსონაჟებია“, რომლებთანაც ჩვენ მუდმივად გვიწევს დიალოგში შესვლა. შალვა ნუცუბიძემ გამოიგონა ერთგვარი ფილოსოფიური თამაში — თვითონ შექმნა თამაშის წესებიც და ფიგურებიც და ჩვენ მუდმივად ჩართულნი ვართ ამ თამაშში, რომელიც მუდმივად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას. როცა თავად თამაშობდა ამ თამაშს, ის მაშინ საშიში თამაშები იყო, რადგან იდეოლოგიური წნეხის ქვეშ უწევდა ფიგურების გადაადგილება და ეს შესაძლოა საბედისწეროც გამხდარიყო. დღეს ალეთეოლოგიური ფიგურებით თამაში საშიში აღარ არის, მაგრამ კარგი თამაშია, რადგან ხელს უწყობს ჩვენი თავისუფალი აზროვნების განვითარებას.

ასე რომ, შალვა ნუცუბიძე მუდმივად რჩება ახალ-ახალი შემოქმედებითი იმპულსების ულევ წყაროდ და მისი ფიგურების გადათამაშება ყოველთვის სასურველი და სასარგებლო იქნება ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის.

ირაკლი ბრაჭული,
ფილოსოფიის დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი



შალვა ნუცუბიძე კაბინეტში

„რუსთაველმა გამოართვა აღმოსავლეთს და მისცა დასავლეთს“

(მოგონება)

სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მცირდება მათი რიცხვი, ვინც მოესწრო შალვა ნუცუბიძეს. მე ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ იმ უკანასკნელი თაობისა, რომელსაც ახსოვს ბატონი შალვა. ქართულ მეცნიერებაში, ალბათ, ცოტა გვეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ქართული კულტურის, ქართული სულიერების ფაქტები მსოფლიო ორბიტაზე გაეტანა და იგი მსოფლიო კულტურის ფაქტორად ექცია — ეს შალვა ნუცუბიძემ გააკეთა. მისი მჭერმეტყველების შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. მისი ცხოვრება სამშობლოს ცხოვრებას ჰგავდა: იყო დიდი აღზევების და დევნის, რეპრესიების პერიოდები.

მქონდა ბედნიერება, მენახა ბატონი შალვას მიმართ მისი უახლოესი მეგობრების დამოკიდებულება. ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილთან, ჩემს ხელმძღვანელთან, არაერთგზის მქონია საუბარი ბატონ შალვაზე და ყოველთვის მაოცებდა ის, თუ როგორი მოწიწებით საუბრობდა მეგობარი მეგობარზე, როგორ აფასებდა მის ნიჭს. მახსოვს, როდესაც პირველი კორპუსის ფოიეში შოთა რუსთაველის ბარელიეფი იხსნებოდა, დაირხა ხმები, რომ ბატონი შალვა აპირებდა სიტყვით გამოსვლას. უნივერსიტეტს მოაწყდა უამრავი ხალხი. მაინტერესებდა, რას იტყოდა იგი ისეთს, რაც საზოგადოების აღტაცებას გამოიწვევდა. დღესაც მახსოვს ის პათოსი... უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იყო მართლაც ერთ-ერთი ბრწყინვალე სიტყვა. მან თქვა: „რუსთაველმა გამოართვა აღმოსავლეთს და მისცა დასავლეთს. ...და რომ არა რუსთაველი, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა დასავლეთის განვითარების გზა“. მაშინ ამ დებულებასთან დაკავშირებით კამათის სურვილი არავის გასჩენია. ამ სიტყვებმა მოხიბლა მთელი აუდიტორია, რადგან ეს საოცარი მიგნება იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ბატონი შალვა იყო ადამიანი, რომელმაც ლექციისა თუ მოხსენების კითხვა უმაღლესი ხელოვნების დონემდე აიყვანა. მისი ლექციის მოსასმენად მოდიოდნენ არა მარტო შემეცნებითი კმაყოფილების, არამედ ესთეტიკური კმაყოფილების მისაღებადაც — ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

რისმაგ გორდეზიანი,
აკადემიკოსი

რატომ აწერდა ყველაფერზე ხელს ბრმად?

(მოგონება)

შალვა ნუცუბიძესთან პირადი ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ ვიცოდი, რომ ის იყო დიდი მეცნიერი. მას პირველად მაშინ შევხვდი, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნდა. შალვა ნუცუბიძეს ფილოსოფიაში ლექციების კითხვის უფლებას არ აძლევდნენ, ამიტომ იგი დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა. ნუ ჩამომართმევთ ტრაბახში, მაგრამ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის დიდი კორიფეების მნიშვნელოვან ნაწილს კარგად ვიცნობდი, მაგრამ შალვა ნუცუბიძის ლექცია სულ სხვა იყო — სრულიად სხვაგვარი გააზრება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის განვითარებისა. აუდიტორია გადაჭედილი იყო და გულწრფელად ვამბობ, რომ მას მიშტერებული ვუყურებდი მანამ, სანამ საუბარს არ დაასრულებდა. ბატონ შალვას ჰქონდა ჟესტიკულაციის თავისებური მანერა, რაც თითქოს ნაწილი იყო მისი ლექციისა.

მახსენდება ასეთი რამ: მრგვალ მაგიდასთან სხედან კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე. მე მათგან მოშორებით დავჯექი. მესმის, ბატონი კორნელი ეკითხება შალვას: მართალია, რასაც კი მოგიტანდნენ იქ, ყველაფერს ისე აწერდი ხელს, რომ არც კითხულობდიო? ბატონმა შალვამ უპასუხა: ნამდვილად არ ვკითხულობდი, რადგან არ მსურდა, მცოდნოდა — რა ეწერა იქო. ან რა მნიშვნელობა აქვს? არ მოვაწერდი ხელს და თითებზე დამაძრობდნენ ფრჩხილებს და ისე მომაწერინებდნენო. მე მაშინ აღვიქვი, თუ რა გამოიარა მან გადასახლებაში ყოფნის დროს. თუმცა, ჩემი, როგორც ახალგაზრდა ადამიანის რეაქცია მაშინ ასეთი იყო: არ მესიამოვნა ეს ფაქტი. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გავიდა, მით უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ყველაფერზე ბრმად ხელისმოწერით იგი ამბობდა: დამანებეთ თავი და მომშორდით აქედანო.

ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ ასეთი დიდი პიროვნების წინაშე. მინდა მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ყველას, ვინც შალვა ნუცუბიძის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში მონაწილეობა მიიღო.

მარიამ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი

როგორ ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“

შალვა ნუცუბიძემ რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მეოთხე, სრული პოეტური თარგმანი შექმნა, თუმცა ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენები საზოგადოებისთვის უცნობია.

თარგმანი 1941 წელს მოსკოვში, სერგეი გოროდეცკის რედაქციით გამოიცა. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორისადმი მიწერილ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიას აღწერს და დასაწყისში განმარტავს, რომ მოვლენების ზუსტი ქრონოლოგიით აღდგენა მისთვის უკვე ძნელია, რადგან ამ ამბებიდან 27 წელი გავიდა და თავად უკვე 80 წლისაა. ეს დოკუმენტი, რომელიც 1968 წლის 5 ნოემბრით თარიღდება, აჩვენებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია მეტად ბუნდოვან პირობებში მიმდინარეობდა.

შალვა ნუცუბიძე წერს, რომ 1938 წლის 31 აგვისტოს ტაშისკარში მოულოდნელად დააპატიმრეს და თბილისში გადაიყვანეს. იგი იგონებს, რომ რამდენიმე დღეში, დაახლოებით ათი მცველის თანხლებით, გაიყვანეს ციხიდან და მოსკოვში, ლუბლიანკის ციხეში აღმოჩნდა.

შალვა ნუცუბიძეს ბრალი 2 მუხლით წაუყენეს — 58/10 და 58/11, რომელიც გულისხმობდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას და პროპაგანდას და კონტრრევოლუციური მთავრობის სასარგებლოდ მშრომელი ხალხისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურ ქმედებას იმ პირის მიერ, რომელიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოღვაწეობდა.

მოსკოვის ციხეში მას აცნობეს, რომ სტალინის დავალებით რუსულად უნდა ეთარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. შალვა ნუცუბიძე წერილში წერს, რომ ამ ცნობის შემდეგ მისთვის ნათელი გახდა დაპატიმრების მიზეზიც და ისიც, რომ უშიშროებამ იცოდა — ამ პოემის თარგმნა მას დაპატიმრებამდე ჰქონდა დაწყებული.

რამდენიმე დღეში იგი გამოიძახეს და ჰკითხეს, სურდა თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გაგრძელება. იგი დათანხმდა და მეორე დღიდანვე ახალი ცხოვრება დაიწყო — კამერაში გაჩნდა პოემის ქართული გამოცემა, პატიმართა საკვები „ბალანდის“ ნაცვლად კი სადილი ციხის ზედამხედველთა სასადილოდან მიუტანეს. ყოველი კვირის ბოლოს თარგმანი ციხის საკნიდან გაჰქონდათ და სანამ არ გაათავისუფლეს, არ იცოდა, ვისთან მიჰქონდათ მის მიერ ნათარგმნი პწკარედები.

შალვა ნუცუბიძე წერს, რომ ციხის ზედამხედველები აჩქარებდნენ, თავად კი მაქსიმალურად გაჰყავდა დრო სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

1939 წლის 1 მაისს თარგმანი დაასრულა და როგორც ირკვევა, იგი სტალინს გადაუგზავნეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული თარგმანი 1940 წელს 22 ნოემბერს სტამბას ასაწყობად გადაეცა. ერთი თვის შემდეგ სასიგნალო გამოცემა უკვე მზად იყო.

სტალინის ასეთი ქმედება საზოგადოებისთვის დაფარული იყო, თუმცა პირველმა სასიგნალო ეგზემპლარმა, რომელიც საბჭოთა ბელადმა მთარგმნელს აჩუქა, შემოინახა სტალინის, როგორც კორექტორ-რედაქტორის კვალი — მასზე ლურჯი ფანქრითაა მინიშნებული დაწუნებული და ჩასწორებული სტრიქონები. სტალინმა თარგმანში ორი ტაეპი ჩაასწორა, ასევე, შეცვალა სატიტულო ფურცელი, სადაც ხაზი გაუსვა, რომ თარგმანი ქართულიდან განხორციელდა.

„ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი გორში – სტალინის სახლ-მუზეუმში ინახება.

შალვა ნუცუბიძე ციხეში

შალვა ნუცუბიძის ბიოგრაფია თავიდან უნდა დაიწეროს!

გვესაუბრება შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი თამარ ნუცუბიძე



— წლევანდელი თარიღის აღნიშვნა იმითაც გამოირჩევა, რომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტარდება. ამავე დროს ინგლისურ ენაზე გამოდის შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური კრებული — „ქართული ქრისტიანული აზროვნება და მისი კულტურული კონტექსტი“, რომელიც ჰოლანდიაში დაიბეჭდება. ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტი მით უფრო, თუ ჩვენ გავიხსენებთ იმას, რომ მისი ბიოგრაფიის არცერთი თარიღი მის სიცოცხლეში არ აღნიშნულა.

ვინც მისი ბიოგრაფია იცის, და ასეთი ბევრია საქართველოში, დამეთანხმება, რომ იგი იყო დევნილი მეცნიერი, რადგან არაფრით – არც აზროვნებით, არც მენტალობით, არც მეტყველებით, არც მანერებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჰაბიტუსით არ იყო საბჭოთა მეცნიერის ტიპი. ამიტომაც ის ვერ ჩაჯდა საბჭოთა ჩარჩოებში. ერთხელ მას შეხვედრა მოუწყვეს აქ, უნივერსიტეტში და მან ასეთი რამ თქვა: ჩემმა ცხოვრებამ ისე გაიარა, რომ სამი მთავრობა გამოვიცვალე და ვერცერთს ვერ შევაყვარე თავიო. მართლაც ასე იყო — მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი არსებით ემსახურებოდა ახალგაზრდობას, მეცნიერებას, კულტურას, ქვეყანას და სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია, მუდმივად დევნასა და შევიწროებას განიცდიდა — უკრძალავდნენ ფილოსოფიაში ლექციების კითხვას, ერთი პერიოდი უნივერსიტეტში საერთოდ აუკრძალეს მოღვაწეობა, დააპატიმრეს, როგორც ნაციონალისტი, ბურჟუაზიული ელემენტი... ეს, ცხადია, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეხებოდა. არიან მეცნიერები, რომლებიც მხოლოდ მეცნიერებით შემოიფარგლებიან. ეს არც ცუდია და არც გასაკვირი, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც მეცნიერებასთან ერთად, აქტიურადაა ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც, შალვა ნუცუბიძე სწორედ ასეთი იყო. მაშინ იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და მას არ შეეძლო არ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში — 1918 წელს მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

სხვათა შორის, შალვა ნუცუბიძის პოლიტიკური მოღვაწეობა შესწავლილი არ არის. ხანდახან საქართველოს პირველი რესპუბლიკის საიუბილეო თარიღს ისე აღნიშნავენ ხოლმე, რომ ჩვენს ოჯახს არც იწვევენ, არადა, შალვა ნუცუბიძის ხელმოწერა არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. ერთხელ რომ დაედო ტაბუ ამ საკითხს, დღესაც ინერციით გრძელდება. მგონია, რომ უკვე უნდა დაიწყოს მუშაობა არქივზე და შალვა ნუცუბიძის, როგორც ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრის და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის, ბიოგრაფია თავიდან უნდა დაიწეროს. მისი დევნა და შევიწროება სწორედ აქედან იღებს სათავეს.

რაც შეეხება ამ ღონისძიებას, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სიცოცხლეში მას ეს არ ღირსებია. შალვა ნუცუბიძეს არასოდეს უშვებდნენ უცხოეთში, მას უცხოელებს არც კი ახვედრებდნენ, არც მისი ნაშრომები გამოსულა უცხო ენებზე და არ გამხდარა ფართო სამეცნიერო მსჯელობის საგანი. დღეს ძალიან გვიხარია, რომ ამ სამეცნიერო კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნებიდან — ამერიკიდან, ფინეთიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან რუსეთიდან უცხოელები ჩამოდიან სწორედ იმ თემებით, რაზეც შალვა ნუცუბიძე მუშაობდა.

ვფიქრობ, რომ დროა ევროპაში შალვა ნუცუბიძის მეცნიერული თეზისების პოპულარიზაცია დაიწყოს. მან მოასწრო და, ვიდრე საბჭოთა მთავრობა დევნას დაუწყებდა, რამდენიმე ნაშრომი და წიგნი გამოსცა საზღვარგარეთ, მაგრამ, როდესაც დაიწყო მუშაობა ქართულ რენესანსზე, პეტრე იბერისა და დიონისე არეოპაგელის იდენტობის საკითხზე, მისი პოპულარიზაცია უკვე შეჩერდა. ამიტომ მიხარია, რომ დღეს სწორედ ის ხალხი ჩამოდის, რომლებიც აღმოსავლურ რენესანსზე და პეტრე იბერის საკითხებზე მუშაობენ. სხვათაშორის, მინდა ვთქვა, რომ უცხოეთში დღესაც გამოიცემა ნაშრომები ამ თემებზე ისე, რომ ნუცუბიძის ხსენებაც არ არის, არადა, აუცილებელია ითქვას, რომ ის ამ თემებზე ათეულობით წლის წინ მუშაობდა და გარკვეული დასკვნებიც აქვს. მან პირველმა დააყენა პეტრე იბერისა და დიონისე არეოპაგელის იდენტობის საკითხი. დღეს ამ მოსაზრების მომხრეებიც არიან და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ გააბათილა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია — ეს ერთადერთი თეორიაა, რომელიც ამტკიცებს რომ დიონისე არეოპაგელი ქართველი პეტრე იბერია. ვფიქრობ, საქართველო უნდა ჩაერთოს ამ დისკუსიაში.

ასევე საინტერესოა, რომ შალვა ნუცუბიძე იყო პირველი, ვინც ამტკიცებდა, რომ შუასაუკუნეების რენესანსის საწყისი საქართველოშია. მის ამ თეორიას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა და მიმაჩნია, რომ ამ თეორიის აქტიური განხილვა უნდა დაიწყოს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ შალვა ნუცუბიძის არქივსაც იგივე ბედი ეწია, რაც თავად მას. როდესაც ის დააპატიმრეს, მას ბინაც ჩამოართვეს, ჩხრეკების დროს მისი საარქივო მასალაც განიავდა და დაიკარგა, მაგრამ რაც დარჩა, ჩვენ მოვაგროვეთ და მის ოჯახში ვინახავთ — გვინდა, რომ იგი დავამუშაოთ და გამოვაქვეყნოთ. ამ არქივის მეშვეობით ძალიან ბევრი რამ გამოჩნდება და გამოიკვეთება, მაგალითად მისი მოღვაწეობის პოლიტიკური მხარე, მისი სულიერება — კავშირები ქართულ ეკლესიასთან (პატრიარქები სთხოვდნენ გამოსასვლელი სიტყვის დაწერას). ეს არქივი დაეხმარება მკვლევრებს, რომ შეიქმნას შალვა ნუცუბიძის სრული პორტრეტი.

შალვა ნუცუბიძე მატარებელი იყო იმ ოცნებებისა, რასაც ერქვა თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო... იგი იყო პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის წევრი, რომელიც მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ბოლოს თავზე დაამხეს ეს თავისუფლება. ამიტომ იგი ცხოვრობდა ფარული ეროვნული სევდით, რასაც მისი ოჯახის წევრები მუდამ ვგრძნობდით. იგი ხშირად წარმოთქვამდა ბარათაშვილის სიტყვებს, ძალიან ხშირად ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „ხედავთ, ვით არის კაცნიერებით შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება...“ ან „მეც თქვენს შორის ვარ მეომარი!“ — ამ სიტყვებს იმეორებდა ხშირად და ასე აგრძელებდა ცხოვრებას. ურჯულოებს ეძახდა რუსებს, რომლებმაც გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და წაუკიდეს ცეცხლი ჩვენს მიწას. როდესაც 7 ნოემბრის და 1 მაისის დღესასწაულები მოახლოვდებოდა, ქალაქიდან გარბოდა. „მე ამათი „ვაშა“ და „ურას“ გაგონება არ შემიძლია, შემატყობინეთ, ყველა პლაკატს რომ ჩამოხსნიან, მაშინ დავბრუნდები“, — ასე გვიბარებდა. „მე მოვესწრები, შვილო, რომ რუსები საქართველოდან წავლენ“, — სულ ამას იმეორებდა, რასაც, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო.

* * *

ერთხელ მამამ ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის დასათვალიერებლად საგურამოში წაგვიყვანა. ჩვენ შევიარეთ წიწამურში, შევჩერდით ობელისკთან და დავინახე, რომ მამაჩემს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მისი ასეთი დამოკიდებულება ძალიან დამამახსოვრდა. როდესაც რუსთაველზე მივდიოდით, მთავრობის სახლის წინ ცილინდრს მოიხდიდა ხოლმე: „აქ, შვილო, იუნკრებია დასაფლავებული“, — იტყოდა და გვიყვებოდა მათ ამბავს. ერთხელ კინოში წავედით, ვნახეთ „მამლუქი“. როდესაც გამოვედით, ვხედავ, მამას სახე შეშლილი ჰქონდა. მომიბრუნდა და მითხრა: „მე ეს ფილმი არ უნდა მენახა“. იგი ყველაფერს განიცდიდა.

აი, ასეთ კაცს დევნიდნენ და ავიწროებდნენ. ბევრს ეცადნენ, რომ მისთვის სახელი გაეტეხათ, შეურაცხყოფაც ბევრჯერ მიაყენეს... მახსოვს, უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილესთვის საგანგებოდ როგორ მოემზადა, (მას ძალიან უყვარდა კოხტად ჩაცმა) კოსტუმის ჯიბეში თეთრი ცხვირსახოცის ჩადებაც არ დაავიწყდა. მიდიოდა ამაყად, იგი ხომ მისი ერთერთი დამაარსებელი იყო. მაგრამ სიტყვაც კი არ მისცეს.

მამა არც რუსთაველის იუბილეზე მიიწვიეს. ერთმა უცხოელმა მეცნიერმა განაცხადა: „მე ჩამოვედი იმ ქვეყანაში, სადაც შალვა ნუცუბიძემ აღმოსავლური რენესანსის დროშა ააფრიალა და მასთან შეხვედრა მსურსო“, მაგრამ არ შეახვედრეს, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით.

80 წლის ასაკში, როგორც იქნა, მისთვის იუბილეს აღნიშვნა გადაწყდა. სახლში გვითხრა: როდესაც იუბილეზე გამოვალ, მადლობას კი არ გადავუხდი მთავრობას და პარტიას, არამედ ვიტყვი: „მთავრობამ ყველაფერიც გამიკეთა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამაკლო“. მაგრამ იუბილე არ შედგა. შალვა ნუცუბიძე მალევე გარდაიცვალა.

მთავრობამ გამოიტანა დადგენილება მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, ერთერთ ქუჩას მისი სახელი დარქმეოდა. დედამ ითხოვა, შალვა ნუცუბიძის სახელი პეროვსკაიას ქუჩას მინიჭებოდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი მიიღო. არგუმენტად კი დაუსახელეს ის, რომ სოფი პეროვსკაია ცნობილი რევოლუციონერი იყო.

დაისვა მისი დაკრძალვის საკითხი. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ გიორგი ჯიბლაძე დაინიშნა. როგორც გავიგეთ, ზოგიერთი მეცნიერი წინააღმდეგი იყო, იგი უნივერსიტეტში დაეკრძალათ, რადგან მას უნივერსიტეტში ლექციების კითხვა აკრძალული ჰქონდა.

ბატონმა გიორგიმ დედას უთხრა: მივაღწიე, რომ იგი დიდუბის პანთეონში დავასაფლავოთო. დედამ უპასუხა: დიდი მადლობა, მაგრამ შალვას კომუნისტებისგან არც სიცოცხლეში არ უნდოდა არაფერი და არც საფლავი უნდა მაგათიო. საბოლოოდ, ალბათ, საზოგადოების განწყობამაც იმოქმედა და იგი უნივერსიტეტში დაკრძალეს.

საფლავიც დიდხანს იყო მოუვლელი. დედა წავიდა ფოსტაში და პირდაპირ შევარდნაძეს გაუგზავნა დეპეშა, სადაც წერდა, რომ თუ სახელმწიფოს არ შესწევს ძალა — საფლავს მოუაროს, მაშინ სხვაგან გადავასვენებთო. ამის შემდეგ, საფლავზე სქელ ფენად სასწრაფოდ დაასხეს ბეტონი. მოგვიანებით მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის განკარგულებით, ძეგლიც დადგეს. მართალია, იგი კომუნისტი იყო, მაგრამ იცოდა შალვა ნუცუბიძის პიროვნების მნიშვნელობა.

შალვა ნუცუბიძე, მისი მეუღლე — ქეთევან კლიმიაშვილი და შვილები — თამარ და თამაზ ნუცუბიძეები აგარაკზე გლდანში.

ერთგვარი ხიდჩატეხილობაა მეცნიერებასა და ბიზნესის კონკრეტულ სფეროებს შორის

2013 წლის 13 სექტემბერს თსუ-ის სრულ პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ეთერ ხარაიშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა. მანამდე, 2013 წელს, ეთერ ხარაიშვილი ღირსების ორდენითაც დაჯილდოვდა; კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი, რაც ქალბატონი ეთერის ცხოვრებაში წელს მოხდა — ქვეყნად ახლად მოვლენილი ტყუპების: ალექსანდრესა და ანდრიას ბებიობა გახლავთ. სწორედ ჩვენს ხელთ არსებული ეს სასიამოვნო ინფორმაციები გახდა საბაბი იმისა, რომ ქალბატონ ეთერს კათედრაზე ვწვეოდით და მისი საქმიანობისა თუ პიროვნების შესახებ უფრო ვრცლად გვესაუბრა.

ბავშვობაში ეკონომისტობასა და მეცნიერებაზე არ ფიქრობდა, თუმცა, ისე მოხდა, რომ ილია ვეკუას ერთმა გადაწყვეტილებამ მთლიანად შეცვალა ეთერ ხარაიშვილის მიზნები და ცხოვრება.

ეთერ ხარაიშვილი 97-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 6 სახელმძღვანელო და 2 მონოგრაფიაა: „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“ და „აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმები და მისი სრულყოფის მიმართულებები“. პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის პარალელურად მიკროეკონომიკის კათედრას ხელმძღვანელობს; აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება; მონაწილეობდა გაეროს განვითარების პროგრამასა და TEMPUS TASIS-ის პროექტებში. არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აგრარული ეკონომიკის ევროპული ასოციაციის წევრი და ბუნების ისტორიის ევროპული აკადემიის ნამდვილი წევრი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სადისერტაციო ნაშრომი; აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სასწავლო პროცესის განვითარებასთან დაკავშირებულ შეხვედრებში შვეიცარიის, გერმანიის, იტალიის წამყვან უნივერსიტეტებთან.

ეთერ ხარაიშვილის მოგონებიდან

„დავიბადე ზემო იმერეთის ერთერთ ულამაზეს სოფელ ხვანში, თუმცა, ძალიან მალე, ოჯახი საცხოვრებლად ჭიათურაში გადავიდა, რომელიც მაშინ ძალიან აქტიური ქალაქი იყო თეატრით, ხელოვნებით, საინტერესო ადამიანებით. აქ წარჩინებით დავამთავრე მე-2 საშუალო სკოლა, მაგრამ საჩხერისადმი და ჩემი სოფლისადმი დიდი სიყვარული ყოველთვის მქონდა, რადგან იქ მყავდა ბებია და ბაბუა: გიორგი ხარაიშვილი და შუშანა კომლაძე — სავანელი ქალბატონი. არდადეგებზე ერთი სული მქონდა, როდის გავემგზავრებოდი მათთან. ბაბუის დანატოვარიდან მცირე ნაკვეთი მერგო, სადაც პატარა აგარაკი მაქვს და სიამოვნებით ვაგრძელებ მის ფესვებზე ცხოვრებას.

სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, სამედიცინო განათლება მიმეღო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისაღებ გამოცდებზე ქულა დამაკლდა. იმავე წლის სექტემბერში ერთადერთხელ გამოცხადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები. გადავწყვიტე დაუსწრებელზე ჩამებარებინა, რათა სწავლა გამეგრძელებინა და შემდეგ, პარალელურად, მესწავლა სამედიცინოზეც. ჩავაბარე დაუსწრებელ განყოფილებაზე სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე. იმ პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ დიდი მეცნიერი ილია ვეკუა, ფაკულტეტზე დეკანის მოადგილე პროფესორი ოთარ საღარეიშვილი იყო. პირველი კურსი ფრიადებზე დავამთავრე. ზაფხული იყო, ერთ დღესაც, მიბარებს დეკანის მოადგილე და მეუბნება, რომ დღის განყოფილებაზე გადამიყვანეს. შესაბამისად, სწავლას სხვაგან ვეღარ განვაგრძობდი. ილია ვეკუას ერთი საუკეთესო თვისება ჰქონია: დაუსწრებელი განყოფილების ყველა იმ სტუდენტის პირად საქმეს ითხოვდა, ვისაც მაღალი შეფასებები ჰქონდა. ჩემი პირადი საქმეც გადაუციათ მისთვის და ისე, რომ განცხადება არც კი დამიწერია, აღმოვჩნდი და დავრჩი ამ ფაკულტეტზე. ამ ორ დიდ ადამიანს ვუმადლი, რომ ჩემი ცხოვრება დაუკავშირდა ქვეყნის პირველ უმაღლეს სასწავლებელს.

უნივერსიტეტში სწავლისას ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პროფესორმა ნიკო იაშვილმა, რომელიც ლექციებს მიკითხავდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ეს იყო პიროვნება, რომელიც არა მარტო ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე გვესაუბრებოდა, არამედ ცხოვრების ყოველდღიურ გამოცდილებასაც გვიზიარებდა. მახსოვს, ერთხელ მოსაწვევი გამატანა ნიკო კეცხოველთან, რომ ერთერთ შეხვედრაზე მოეწვია და თან მითხრა: თქვენც მობრძანდით ამ შეხვედრაზე და მოისმინეთ, როგორ საუბრობენ მეცნიერები, როგორი სჯა-ბაასია მათ შორისო. წარუშლელი შთაბეჭდილება მივიღე მაშინ და მივხვდი, რომ უნივერსიტეტი მართლაც ჩემი სათაყვანებელი ადგილი იქნებოდა როგორც განათლების, ასევე ცხოვრების ყოველდღიური საზრდოს მოცემის თვალსაზრისით.

კარიერული გზა

ინტერვიუ პროფესორ **ეთერ ხარაიშვილთან**

— რამდენად ადვილი იყო კარიერის გაკეთება ეკონომიკურ მეცნიერებაში ქალისთვის?

— იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ ეს არც ისე რთულია, თუ ძალიან კარგად ხარ ორგანიზებული და დროის კარგად დაგეგმვა შეგიძლია. ამასთან, აუცილებელია, ოჯახიც ხელს გიწყობდეს. თუ ეს ორი პარამეტრი ოპტიმალურ თანხვედრაშია, მაშინ, ალბათ, ქალი შეძლებს დასახული მიზნების მიღწევას. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ვხელმძღვანელობდი და ჩართული ვიყავი აქტიურ საქმიანობაში. სადიპლომო ნაშრომის გაკეთების შემდეგ პროფესორმა ოთარ საღარეიშვილმა შემომთავაზა, რომ დავრჩენილიყავი უნივერსიტეტში და ჩემი სადიპლომო ნაშრომი სადისერტაციო თემად გამეგრძელებინა. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში ყოველთვის იყო და დღესაც არის გარემო, სადაც შრომისმოყვარე ადამიანს შეუძლია ადგილის მოძებნა და თუ ამას ოჯახის მხარდაჭერაც დაემატება, მაშინ კარიერის გაკეთება არც ქალს გაუჭირდება.

— ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა, მათ შორის მეცნიერების ცხოვრებაც. თქვენ შეძელით ამ ცვლილებებს მიჰყოლოდით. რამ შეგიწყოთ ამაში ხელი?

— როდესაც დიდი გარდატეხა და ცვლილებები მოხდა, საჭირო გახდა ადამიანების რადიკალური გარდაქმნა მოეხერხებინათ როგორც ეკონომიკაში, ისე საკუთარ პიროვნებასა და მენტალობაში. იმ ძალიან მძიმე პერიოდში ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გახლდით. დეკანი იყო პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი. ჩვენდა საბედნიეროდ, მოვახერხეთ, ტემპუს-ტასისის ორი პროექტის მოპოვება: ერთერთი მათგანი წარმოებასთან კავშირურთიერთობისა და სტუდენტთა დასაქმების ოფისის შექმნას ითვალისწინებდა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ: საბერძნეთიდან ათენის პირეუსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ლონდონიდან ბრუნელის ინსტიტუტი. ამ პროექტის წარმატებით გავლის შემდეგ შევძელით ტემპუს-ტასისში დამოუკიდებლად წარგვედგინა მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინფორმაციისა და ლიბერალური განათლების უმაღლესი ცენტრის შექმნას არა მარტო ბრუნელის უნივერსიტეტთან, არამედ ირლანდიის ტრინიტი კოლეჯთან და საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტთან ერთად. ეს იყო 90-წლების ბოლოს. ამ პროექტის საშუალებით ჩვენ შევძელით მაღლივ კორპუსში პირველად კომპიუტერების შემოტანა და მათი ინტერნეტში ჩართვა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავშირი ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან. ამ პროექტის ფარგლებში მომიხდა რამდენიმე საზაფხულო სკოლის გავლა ბრუნელის უნივერსიტეტში, ტრინიტი კოლეჯში, რომლებიც სილაბუსის დაწერას, ახალი კურიკულუმის შედგენის მეთოდიკას და ასეთი ტიპის აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა და მივხვდი, რომ დიდი მუშაობა იყო საჭირო, რათა ახალი აზროვნების წესზე გადავსულიყავით. გარდა ამისა, იყო პროექტები ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხრიდან, რამაც ძალიან დიდი გარდატეხა მოახდინა სტუდენტთა სწავლებაში ახლებური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

2006 წელს შევქმენით მიკროეკონომიკის კათედრა, რომელსაც დღემდე ვხელმძღვანელობ. მოგეხსენებათ, სასწავლო კურსები სტუდენტებისთვის რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი, ეს არის: ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსები, გაღრმავებულ სპეც-ცოდნაზე ორიენტირებული კურსები და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული კურსები. მიკროეკონომიკა სწორედ ის საგანი იყო, რომელსაც ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსების როლი უნდა შეესრულებინა. საყრდენი ბაზა გვქონდა და ევროპული ტიპის სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით შევძელით კათედრისა და ახალი სახელმძღვანელო კურსების შექმნა.

— ამის პარალელურად აქტიურად საქმიანობთ მეცნიერებაში. ძალიან საინტერესო და საყურადღებოა თქვენი მონოგრაფიები, რომლებიც აგროსასურსათო სექტორს შეეხება.

— უნივერსიტეტი წარმოუდგენელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარეშე. სამეცნიერო სფეროში მიღებული პროდუქტები გვაძლევს საშუალებას, რომ სასწავლო პროცესიც მაღალ დონეზე წარიმართოს. თუმცა, პრობლემას ვხედავ იმაში, რომ საჭიროა კვლევებში ახალი მეთოდოლოგიების გამოყენება. ეს კვლევის მისიასაც მისცემს გამართლებას, რადგან კვლევა მარტო მეცნიერებისთვის არ უნდა კეთდებოდეს... მისი მომხმარებლები უნდა იყვნენ ასევე სამთავრობო სექტორი, ბიზნეს ერთეულები, თუნდაც აკადემიური წრეები და სტუდენტები. მხოლოდ სისტემურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კვლევა იქნება რეალური, რომელსაც პრაქტიკაშიც გამოიყენებენ. თუ ამ კუთხით მივუდგებით კვლევების განხორციელებას, შეკვეთებიც გვექნება. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. ჩვენ გვაქვს კავშირი რამდენიმე უნივერსიტეტთან, მათ შორის ციურიხის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან შვეიცარიაში. ეს გახლავთ ინსტიტუტი, რომელსაც აქვს შემუშავებული მეთოდოლოგია, როგორ დაითვალონ პროდუქტის, ფირმის, დარგის კონკურენტუნარიანობა. ინსტიტუტი მრავალ შეკვეთას იღებს, მათ შორის იაპონელებისგანაც, რომლებსაც აინტერესებთ როგორ გათვალონ, მაგალითად, ბრინჯის კონკურენტუნარიანობა. ამჟამად ციურიხში საქმიანობს ჩვენი თანამემამულე ფატიმა მამარდაშვილი, რომელმაც იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მასთან და პროფესორ რობერტ იორინთან ერთად შევიმუშავეთ კვლევა ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გამოსავლენად. ჩემს მონოგრაფიაში კვლევის ნაწილი სწორედ ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაანგარიშებასა და შეფასებას ეძღვნება.

— თუ ინტერესდება ჩვენი ბიზნესი სამეცნიერო პროდუქტით და თქვენთან თანამშრომლობით?

— დღევანდელ ეტაპზე ნაკლებად. ვიტყვი, რომ ერთგვარი ხიდჩატეხილობაა მეცნიერებასა და ბიზნესის კონკრეტულ სფეროებს შორის. აქ ორმხრივი თანამშრომლობაა საჭირო. თუმცა, პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება, რაც ძალიან სასიხარულოა. მაგალითად, ბატონ გოგი თოფაძის ინიციატივით, ჩვენ ამჟამად შევქმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სოფლად გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედების შესაძლებლობებს და ქართული პროდუქტების უვნებლობის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს (ევროპულ ბაზარზე გასვლა ფაქტობრივად შეუძლებელია ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გარეშე).

— ოქტომბერში სოფლის მეურნეობის ეკონომისტების ევროპული ასოციაციის მე-13 კონგრესზე თქვენი და მარინა ნაცვალაძის მიერ მომზადებული კვლევა — „ბიო-პროდუქტები, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი“ ერთერთ საუკეთესო კვლევად აღიარეს. საინტერესოა, რა პერსპექტივები აქვს ამ მიმართულებაში საქართველოს?

— ჩვენი ნიშა ევროპულ ბაზარზე ძირითადად იქნება ბიოპროდუქტების წარმოება. სხვაგვარად, განსაკუთრებული ნიშის მონახვის გარეშე, მცირე ქვეყანას ძალიან გაუჭირდება კონკურენცია. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ ქიმიურ პესტიციდებსა და სასუქებს, რის გამოც ნიადაგის შესაბამის კონდიციაში მოყვანას მცირე დრო დასჭირდება. თუმცა, ბიო-მეურნეობების შექმნა კვლევას მოითხოვს, რომ დადგინდეს მომხმარებელთა დამოკიდებულება ამ პროდუქტებისადმი და მწარმოებელთა მზადყოფნა მისი მიწოდებისთვის, ასევე, ევროპულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობები და შესაძლო კონკურენტები. ამავე დროს, სურსათის უვნებლობა არის აუცილებელი პირობა ევროპულ ბაზარზე შესასვლელად, რაც, ჯერჯერობით, ჩვენი სუსტი მხარეა.

— დღეს უნივერსიტეტს ახალი რექტორატი ჰყავს. რა სიახლეებს ელით უნივერსიტეტში?

— მივესალმები, რომ რექტორი პროფესიით ეკონომისტია, რაც ორმაგად სასიხარულოა ჩვენთვის. ამავე დროს, ბატონ ლადო პაპავას კარგი მენეჯერული თვისებები და გამოცდილება აქვს. უნივერსიტეტისთვის კარგი მენეჯერი და კარგი ეკონომიკური განათლების მქონე პიროვნება ნამდვილად წარმატების საწინდარი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

ველოდები სასწავლო გეგმების კიდევ ერთხელ სრულყოფას და დოქტორანტურაში გარკვეულ ცვლილებებს, რათა დოქტორანტებს საშუალება მიეცეთ, რაც შეიძლება სწრაფად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს ნიჭიერი კადრები. ამიტომ, მოხარული ვიქნები, თუ ამ მიმართულებებში ცვლილებები იქნება.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

INFO ქრონიკა

თსუ-სა და „მაიკროსოფთ საქართველოს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „მაიკროსოფთ საქართველოს“ შორის 22 ნოემბერს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს თსუ-ის ვიცე-რექტორმა მარინე ჩიტაშვილმა და „მაიკროსოფთ საქართველოს“ გენერალურმა მენეჯერმა დავით ასათიანმა მოაწერეს ხელი.

უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტი და მაიკროსოფთი აღიარებენ უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წვდომისა და გამოყენების გაუმჯობესების საჭიროებას. მხარეები ერთობლივად იმუშავებენ საგანმანათლებლო სექტორში სათანადოდ ლიცენზირებული პროგრამების გამოყენების თვალსაზრისით. უნივერსიტეტი მაიკროსოფთის დახმარებით გაავრცელებს ინფორმაციას ინტელექტუალური საკუთრების უფლების მნიშვნელობისა და საგანმანათლებლო სექტორში პროგრამების სათანადო გამოყენების შესახებ.

მოპარული კომპიუტერული პროგრამებით ჩვენს ქვეყანაში, თითქმის თანაბრად სარგებლობენ, როგორც კერძო სექტორში, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პატივს სცემს ინტელექტუალურ საკუთრებას და არ სარგებლობს ნაქურდალი კომპიუტერული პროგრამებით. მაიკროსოფთთან გაფორმებული მემორანდუმი ამ პოზიციის გამყარებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

უსინათლოთათვის განკუთვნილი კუთხის პრეზენტაცია თსუ-ის ბიბლიოთეკაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამკითხველო კუთხე გაიხსნა.

თსუ-ის რექტორის პირველი მოადგილის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის განცხადებით: „პროგრამა სოროსის ფონდის მიერ არის დაფინანსებული და დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად წარმატებით გამოვიყენებთ ამ შესანიშნავ კუთხეს. დღეიდან თსუ-ში არის კუთხე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სხვა სტუდენტებთან ერთად შეუძლიათ თავისუფლად მოვიდნენ და მიიღონ ის ინფორმაცია, რომელიც მათ სჭირდებათ.“

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ინიციატორები არიან თავად ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთ თანატოლებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებზე ზრუნავენ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კარი ღიაა არა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომელებისათვის, არამედ ყველასათვის. ამ ტექნიკით და ამ ლიტერატურით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც სჭირდება ამგვარი ტექნიკითა და ლიტერატურით სარგებლობა“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

პროექტის ავტორის, თსუ-ის სტუდენტის ყარამან-გიორგი ბერიძის თქმით, კუთხე სტუდენტების მიერ ორგანიზებული პროექტის მიხედვით და ბიბლიოთეკის მხარდაჭერით მოეწყო. თსუ-ის ბიბლიოთეკაში არსებული აპარატურის მეშვეობით საქართველოში პირველად ინტერნეტი სრულად ხელმისაწვდომი გახდა უსინათლოთათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში კუთხე აღჭურვილია სპეციალური კომპიუტერებით, პრინტერებით, დისკებითა და ლიტერატურით: წარმოდგენილია კომპიუტერის კლავიატურა ბრაილის შრიფტით; დაპროგრამებული პრინტერი, რომელსაც ინტერნეტში განთავსებული ნებისმიერი ტექსტი გადაჰყავს და ბეჭდავს ბრაილის შრიფტით; კომპიუტერები, რომელშიც ჩატვირთულია სპეციალური პროგრამა. მომხმარებელს ამ პროგრამის საშუალებით ნებისმიერი ვებგვერდის ნავიგაცია აუდიოვერსიით შეუძლია.

თსუ-ს მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.

უსინათლოთათვის განკუთვნილი კუთხე თსუ-ის სტუდენტების ჯგუფის მიერ მოპოვებული გრანტის — „უსინათლო სტუდენტების ინტეგრაცია და ადაპტირებული გარემოს შექმნა“(ფონდი „ღია საზოგადოება“) ფარგლებში მოეწყო.

თსუ-სა და ევროპის საბჭოს ერთობლივი კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების განხილვა გაიმართა. ვალდებულება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროპული კონვენციას ეხება. ამ თემაზე თსუ-სა და ევროპის საბჭოს ერთობლივი კონფერენცია გაიმართა.

„ტრეფიკინგი ერთ-ერთი მძიმე და გავრცელებული საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულია. ყველა დემოკრატიული ქვეყნის ვალდებულებაა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ შესაბამისი ეფექტური ღონისძიებები იყოს გატარებული, გამართულად მოქმედებდეს ყველა შესაბამისი ინსტიტუტი თუ სისტემა. ეს შეხვედრა წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომელიც ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს და იმ გზებს, როგორ შეიძლება ეს პრობლემები გადაიჭრას ევროსაბჭოს დახმარებით“, — აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

კონფერენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის განხორციელების შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ საქართველოს თაობაზე მომზადებულ ანგარიშსა და რეკომენდაციების შესრულებას ეძღვნება.

კონფერენციაში საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

VI რესპუბლიკური ონომატოლოგიური სესია

„ონომასტიკის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის წარსულის, ისტორიის შესწავლის საქმეში, ამიტომ ამ დარგის ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვისაც,“ — ითქვა VI რესპუბლიკური ონოატოლოგიურ სესიაზე, რომელიც 29-30 ნოემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

„ონომასტიკის სამეცნირო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც დიდი ტრადიციები გააჩნია, საბედნიეროდ, დღესაც განაგრძობს მუშაობას, თუმცა, ადრეულ წლებთან შედარებით, კვლევები დიდი ინტენსივობით აღარ ტარდება. გაჩნდა იმედი, რომ ახალ რეალობაში, როდესაც მიმდინარეობს ახალი პროგრამების დამუშავება, ცენტრსაც გაუჩნდა შანსი, უფრო სრულყოფილად იმუშაოს. პირველ რიგში, კომპიუტერშია გადასატანი ის უამრავი მასალა, რაც დაგროვდა ამ წლების მანძილზე და რომლებიც აქამდე ყუთებში ინახებოდა. ამ საქმის გაგრძელება საშური საქმეა. იმედი გვაქვს, რომ მომავალში ექსპედიციებიც აღდგება. დღევანდელი სესია ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ წარმოდგენილია ახალი კვლევები და მისასალმებელია ისიც, რომ მუშაობაში ჩაერთვნენ სტუდენტებიც“, — განაცხადა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ.

VI რესპუბლიკური ონომატოლოგიური სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, გორის, სოხუმის, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა, რომლებმაც ამ სფეროში ახალი კვლევები წარმოადგინეს.

მასწავლებელთა I კონფერენცია

„უნივერსიტეტი – სკოლას, სკოლა – უნივერსიტეტს“, სკოლისა და უნივერსიტეტის მაქსიმალური ინტეგრაცია, ტრადიციული აკადემიური ურთიერთობების აღდგენა და განვითარება – ასეთი გახლდათ მასწავლებელთა I კონფერენციის მთავარი იდეა, რომელიც 29-30 ნოემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციის მიზანი გახლდათ უმაღლეს და საშუალო სკოლას შორის აკადემიური ურთიერთობების განვითარება-გაღრმავება, მონაწილეებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაზრდას როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლაში და განავითარებს პედაგოგიკის მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკას. კონფერენცია სამი მიმართულებით მუშაობდაა: პედაგოგიკა — აღზრდის მეცნიერება; საგნის სწავლების მეთოდიკა; მასწავლებლის პროფესია და განათლების სამართლებრივი საფუძვლები.

მასწავლებელთა I კონფერენციაზე ბევრი საინტერესო მოხსენება წაიკითხეს: „დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სერტიფიცირება — პრობლემები და პერსპექტივები“ (მომხსენებელი: სოფიო დოლიძე, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი, ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ის მოწვეული მასწავლებელი); „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სკოლასთან თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები“ (მომხსენებელი: მარინა ლომოური, „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი.); „სპეციალური განათლების ეთიკური ასპექტები“ (მომხსენებელი: ჟანა კვაჭაძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების განვითარების პროგრამის კოორდინატორი); „ინგლისური ენის სწავლების სტანდარტთან შესაბამისობა I კლასებში“ (მომხსენებელი: ია ღვინაძე, კერძო სკოლა მარჯის პედაგოგი); „ეფექტური კომუნიკაციის როლი პედაგოგთა პროფესიული განვითარების საქმეში“ (მომხსენებელი: ამირან ჯამაგიძე, პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი) და სხვ.

კონფერენციამ ორი დღის განმავლობაში ნაყოფიერად იმუშავა და სამომავლო გეგმებიც დასახა.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲠᲐᲡ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ?

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა სახელმწიფო ენის შესახებ საზოგადოების მღელვარება გამოიწვია: კანონპროექტის მიმართ პრეტენზიები გაუჩნდათ ეთნიკური უმცირესობების, ექსპერტული და პოლიტიკური წრეების, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებს. აზრთა სხვადასხვაობა კანონპროექტის იმ კონკრეტულმა მუხლებმა გამოიწვიეს, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ენის სალიტერატურო ნორმების დარღვევა საჯარიმო სანქციებს ითვალისწინებს. კანონთან შესაბამისობის მიზნით, ცვლილებები შევა ადმინისტრაციულ კოდექსშიც. ზოგიერთ შემთხვევაში უკმაყოფილება უფრო შორს წავიდა და ჯავახეთში, სადაც არაქართულენოვანი მოსახლეობის წილი საკმაოდ მაღალია, აშკარად პოლიტიკური ჟღერადობა შეიძინა: სომხურენოვანი მოსახლეობის ნაწილს და მათ წარმომადგენელს საკანონმდებლო ორგანოში მიაჩნიათ, რომ მათ მშობლიურ ენას ისევ ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან დაცვა, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნოსების მშობლიურ ენებს. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პერსპექტივა მხოლოდ სალიტერატურო ქართულის მცოდნე ადამიანების პრივილეგიაა, მარგინალიზაციის საფრთხე ექმნებათ როგორც ეთნიკურ არაქართველებს, რომელთა განათლებაზე დღემდე ნაკლებად ზრუნავდა სახელმწიფო და საზოგადოება, ისე ქართველებს, რადგან უმეტესობა დარწმუნებულია, რომ არა თუ სალიტერატურო, საყველპურო ქართულთანაც მწყრალადაა. ასეთ სიტუაციაში ფულადი ჯარიმების დაწესება გრამატიკის არცოდნისთვის დიდ პრობლემებს შეუქმნის ჯარიმებითა და გადასახადებით ისედაც გულშეწუხებულ დასაქმებულებსა და ბიზნესს. დაუსაქმებლებისთვის საფრთხე ნაკლებია, რადგან, სახელმწიფო ენის შესახებ კანონი მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი სივრცეებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ქართულის კონტროლს გულისხმობს და პირადი ურთიერთობების საზღვრებსა და ლინგვისტიკაში არ იჭრება.

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ენის დაცვის კონტროლი სახელმწიფო ენის ინსპექციას და სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედ კომისიას დაევალებათ.

კონტროლის გარდა, კანონპროექტი ენის პოპულარიზაცია-შესწავლას და ამ მიზნით სპეციალური პროგრამების ამოქმედებასაც ითვალისწინებს. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებას სრული საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს როგორც ქართულ, ისე არაქართულენოვან მოსახლეობაში.

რა სახეს მიიღებს საბოლოოდ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ძნელი სათქმელია: უკვე მესამე თვეა მას პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი განიხილავს. ასევე უცნობია, როდის მოხდება პარლამენტის მიერ კანონის მიღება. კანონპროექტის ერთერთი ინიციატორი, პროფესორი ავთანდილ არაბული შიშობს, რომ მოსალოდნელია კანონპროექტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადოს. მისი თქმით, სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური მანიპულაციებისთვის გამოიყენეს, რის გამოც მოსახლეობისთვის არასათანადოდ მოხდა საკითხის განმარტება.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ,
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი:

— საერთოდ, სახელმწიფო ენის პოლიტიკა სახელმწიფოს მდგომარეობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფო ენის სტატუსი კი იმ დღიდან განისაზღვრება, რა დღიდანაც სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს არსებობაზე, რადგან სხვაგვარად ურთიერთობების მოგვარება სახელმწიფოში შეუძლებელია.

ენობრივი იერარქია, სოციალური იერარქიის მსგავსად უნდა არსებობდეს ქვეყანაში: არსებობს სახელმდებელი ერის ენა, როგორც ძირითადი ენა და არსებობენ სხვა ენებიც. „არღარა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა ქართლსა შინა", — წერს ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფის მიერ ჩატარებული რეფორმების შესახებ. გამოდის, რომ ფარნავაზმა სწორედ ენის მეშვეობით მოახდინა სახელმწიფოს გაერთიანება. ასეთია ისტორიისა და კონკრეტულად კი, ჩვენი ქვეყნის ისტორიის კანონზომიერება: რაც მეტი პრობლემა აქვს სახელმწიფოს ტერიტორიებისა და დამოუკიდებლობის მხრივ, მით მეტად გადადის აქცენტი ენობრივ ურთიერთობებზე. რთულ პერიოდებში იდენტობის მთავარი გამომხატველი ჩვენში ენა იყო. სხვათა შორის, ქართველოლოგები საგანგებოდ უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ ქართველმა ეროვნული იდენტობა ენობრივი იდენტობით ჩაანაცვლაო. რელიგიურ იდენტობასთან შედარებითაც კი, ენობრივს ენიჭებოდა უპირატესობა, რისი ნათელი მაგალითიც ფერეიდანში გადასახლებული ქართველობაა. ამიტომაც, ჩვენთვის ენა გამაერთიანებელი ფენომენია და მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა არის ძალიან დიფერენცირებული ენობრივ-დიალექტურად, გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ამ დიფერენცირებამ არ გათიშა ერთმანეთისგან ტომები, მიუხედავად იმისა, რომ ტომობრივი ცხოვრება და კარჩაკეტილობა ძალიან დიდი იყო.

— დღეს უკვე სახელმწიფო გვაქვს. სახელმწიფო ენის საკითხი განსაზღვრულია კონსტიტუციით და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტაცია იწარმოება ქართულად. ასეთ დროს რატომ დგება ენის სიწმინდის დაცვის საკითხი და სამართლებრივად რას შეიძლება გულისხმობდეს ტერმინი „სიწმინდე"?

— სახელმწიფო ენის სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება სხვა სფეროა და მას კანონი სჭირდება. ენის სიწმინდე კი გულისხმობს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას. ამას დიდი აჟიოტაჟი მოყვა: ჟურნალისტებს ეს თემა შეუგდეს, და მედიას გაუჭირდა იმის დადგენა, რას ითხოვდნენ კანონპროექტის ინიციატორები. რეალურად, კანონი და სალიტერატურო ენის ნორმები ერთმანეთისგან განსხვავდება: ერთი იურიდიული დოკუმენტია, მეორე კი რეკომენდაციაა, რომელიც სალიტერატურო ნორმების დაცვას ითვალისწინებს.

— არსებობს შიში, რომ სალიტერატურო ენის ნორმებმა არ მიიღოს კანონის ფორმა, რაც ბევრისთვის საქმიანობას შეუძლებელს გახდის. დამეთანხმებით, რომ ქართული ენის ამ დონეზე ფლობა დღეს ფილოლოგებსაც კი უჭირთ.

— გეთანხმებით, ამის საშიშროება არსებობს. ქართული ენა ცოცხალი ენაა და მას არ შეიძლება უცვლელი ნორმები ჰქონდეს. ამიტომ, ქართული ენის ნორმები ამ თვალსაზრისით საკმაოდ ლიბერალურია და ლაბილურიც, ყოველთვის არის დაშვებული ორი შესაძლებლობა: მოცემული ფორმებიდან ერთი ძირითადია, მეორე შეიძლება გამოიყენო და ა.შ. ამიტომ, შეუძლებელია ზეპირი მეტყველებისას ჟურნალისტს მოსთხოვო ამა თუ იმ ნორმის დაცვა და მათი დარღვევის გამო დასაჯო. სამწუხაროდ, ძალიან მოხერხებულად მოხდა თემის პროვოცირება და ჟურნალისტები დაგვიპირისპირეს. სხვათა შორის, ეს პირველი მცდელობა არ არის: სახელმწიფო ენის შესახებ კანონი 2001-2002 წლებშიც იყო ინიცირებული პარლამენტში, თუმცა მაშინ ვერ მოხერხდა კანონის მიღება. კანონპროექტის ტექსტმა იმ პერიოდში ევროპული ორგანიზაციების შესაბამისი სტრუქტურები მოიარა და მოიწონეს კიდეც.

— როგორია ამ მხრივ ევროპის ქვეყნების გამოცდილება?

— ევროპაში საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათია. ქვეყნების უმეტესობა კონკრეტული კანონის გარეშე არეგულირებს ამ საკითხს, მაგრამ საუკეთესო მაგალითს იძლევა საფრანგეთი, სადაც ჯერ კიდევ 1975 წელს მიიღეს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. რაც შეეხება ევროპის აღმოსავლეთის ქვეყნებს, ე.წ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, თითქმის ყველგან არის ეს კანონი, რადგან იმ პირობებში, როდესაც სსრკ-ში ენების ასიმილაცია ხდებოდა, გაჩნდა თავდაცვის აუცილებელი იმუნიტეტი: ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მიიღეს ენის კანონი. საქართველოშიც ვცადეთ 89-90 წლებში ამ კანონის მიღება, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა ამის გაკეთება.

— გასაგებია, რომ მძიმე გამოცდილება გვაქვს, მაგრამ უკვე შევქმენით სახელმწიფო, შესაბამისად, რამდენად არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ენა კვლავ კანონებით დავიცვათ?

— ძალიან დიდი აუცილებლობაა, რადგან, რაც უფრო თავისუფალია სივრცე საინფორმაციო და ურთიერთობების თვალსაზრისით, ბუნებრივია, მით მეტად ხდება დასაცავი მცირერიცხოვანი ხალხის ენები და კულტურები. კულტურისა და ენის ეკოლოგიის პრობლემა ახალია. იმდენად, რამდენადაც მთელი მსოფლიო დღეს ერთ ენაზე ლაპარაკობს. ტენდენცია და საფრთხე, რომ ადამიანმა იცოდეს და ისწავლოს მსოფლიოში გავრცელებული ენა და მშობლიურს არ მიაქციოს ყურადღება, ძალიან დიდია.

— რა მიმართულებებს დაარეგულირებს კანონი?

— კანონი დაარეგულირებს სახელმწიფო ენის უფლებებს ოფიციალური გამოყენების სფეროებში — ეს არის ხელისუფლება, სასამართლო, მასმედია, განათლება, მეცნიერება და საზოგადოების ოფიციალური ურთიერთობები: გარე გაფორმება და ა.შ. კანონი პიროვნების თავისუფლებაში არ ერევა, ის, როგორც ოფიციალური პირი რეგულირებულია კანონის მიერ, მაგრამ როგორც პიროვნებას, რომელ ენაზეც უნდა, ილაპარაკოს და რა შეცდომაც უნდა დაუშვას პირად ურთიერთობებში.

— ვის მიერ მოხდება სალიტერატურო ენის ნორმების განსაზღვრა?

— აღდგება სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც დღეისათვის არსებულ ნორმებს ხელახლა გაივლის და დაამტკიცებს, მაგრამ სალიტერატურო ენის მოთხოვნები არ არის კანონის მოთხოვნები. კანონის მოთხოვნა არის ის, რომ ჩვენ ქართულად ვიმეტყველოთ, ქართულად ვწეროთ, ქართულენოვანი იყოს ოფიციალური ურთიერთობები და ა.შ.

— რა საქმიანობით იქნება დაკავებული სახელმწიფო ენის ინსპექცია?

— კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც შემდეგ უნდა შესრულდეს. ამ სფეროში სანქციების შემოღება არაფერს იძლევა. მედიის სფეროში მთელი მედიაბაზრის რეგულირება გამორიცხულია, აქ იქნება მხოლოდ მითითებები. რაც შეეხება ფიქსირებულ გამოსახულებებს, რომლებიც არა მარტო ენობრივი ფაქტია, არამედ გაფორმებისა და დამოკიდებულებისაც, მასზე აუცილებლად იქნება სანქციები, რადგან სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილება უნდა განახორციელოს.

— კანონპროექტის მიხედვით, რა ტიპის სანქციების გამოყენება მოხდება?

— ფიქსირებული წარწერების შემთხვევაში, ეს შეეხება ტელევიზიებში სარეკლამო წარწერებსა და გადაცემების გაფორმებასაც, ასევე, გარე აბრებსა და რეკლამებს, ყველაფერი გაკონტროლდება. ფორმის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევს თავდაპირველად მიეცემა მითითება, შემდეგ დაჯარიმდება, სხვათა შორის, რეკლამის შესახებ კანონი ისედაც ითვალისწინებს ჯარიმას ენობრივ დარღვევაზე, და მესამე, ჯარიმის შემდეგ, თუკი შეცდომა არ გასწორდება, შეიძლება გამოყენებული იქნას დემონტაჟიც.

მოამზადა **ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡ 125 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

სამყაროს თავისუფალი გააზრება, ტოტალური მითოსიდან თავის დაღწევა და თამამ კითხვებზე ლოგიკურად დასაბუთებული პასუხის გაცემა შესაბამის სოციო-კულტურულ გარემოშია შესაძლებელი. ასეთი გარემო ელინიზმმა შექმნა და, სწორედ ამიტომ, ფილოსოფიის სამშობლოდ საბერძნეთი მიიჩნევა, ფილოსოფიის დღეს კი მსოფლიო ყოველი წლის მესამე ხუთშაბათს აღნიშნავს.

„UNESCO General Conference"-ის რეგლამენტის მიხედვით ფილოსოფიის დღის დაწესება საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური სოციალურ-კულტურული გარდაქმნების პროცესში საერთო პლატფორმის გამოვლენას უკავშირდება. ამ დღეს, როგორც წესი, ფილოსოფიური საზოგადოებები სპეციალური სამეცნიერო კონფერენციებით აღნიშნავენ, რომლებიც თანამედროვეობის გამოწვევებსა და ფილოსოფიური მემკვიდრეობის საკითხებს ეძღვნება.

ნელს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა ფილოსოფიის დღისათვის ორი კონფერენცია მოამზადა: ერთი სამეცნიერო, მეორეც სტუდენტური. ორივე კონფერენცია სერგი დანელიას მემკვიდრეობას და მეცნიერის 125 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის, პროფესორ დემურ ჯალაღონიას თქმით, სერგი დანელიას დაბადების დღე 27 ოქტომბერს უნდა აღნიშნულიყო, თუმცა, რადგან თარიღი საპრეზიდენტო არჩევნებს დაემთხვა, მისი აღნიშვნა ფილოსოფიის დღეს გადაწყდა.

სტუდენტთა რეგიონალური სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში თსუ-ის მუზეუმში გამოფენაც გაიხსნა, რომელზეც მარტვილიდან ჩამოტანილი სერგი დანელიას პირადი ნივთები და მიმოწერა, აგრეთვე ნაშრომები და სურათები იყო წარმოდგენილი.

სერგი დანელიას მრავალმხრივ ნიჭსა და მეცნიერულ შესაძლებლობებზე კონფერენციის ყველა მონაწილე ხაზგასმით საუბრობდა.

სერგი დანელია დაიბადა 1899 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ნაჯახაოში. სწავლობდა მოსკოვისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში. მის სახელს უკავშირებენ ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული კვლევის დაწყებას საქართველოში. დატოვა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები სპინოზას, ჰიუმის, კანტის, რუსოს, კონტის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ტოლსტოის შესახებ. ამას გარდა, ქართულად თარგმნა არისტოტელეს „პოეტიკა" და „განმარტებისათვის", პლატონის „სოკრატეს აპოლოგია", დეკარტეს „მეტაფიზიკური განაზრებანი", რუსოს „ემილი" და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებო და დღემდე აქტუალურია სერგი დანელიას ნაშრომი „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი". სწორედ ეს ნაშრომი გახდა მიზეზი უნივერსიტეტიდან მეცნიერის გაძევებისა. ამის შემდეგ სერგი დანელია უკვე რუსული ლიტერატურის მკვლევრის რანგში უბრუნდება უნივერსიტეტს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე, 1963 წლამდე მოღვაწეობდა.

წიგნის თარო

ირაკლი ბურდულმა „სააქციო სამართლის საფუძვლების“ II ტომი გამოსცა

ნატო ოგოლაძე

ირაკლი ბურდულის მონოგრაფიის „სააქციო სამართლის საფუძვლები“ II ტომის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 29 ნოემბერს გაიმართა. აკადემიური საზოგადოების შეფასებით, ნაშრომი დიდი შენაძენია როგორც თეორეტიკოსი, ასევე, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, სტუდენტებისთვის და, ზოგადად, საკორპორაციო სამართლით დაინტერესებული მკითხველისთვის. პროფესორ გიორგი ჯუღელის თქმით, წიგნი ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც საკორპორაციო სამართალში ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისით არსებობდა და მასში სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებთან ერთად განხილულია თანამედროვე, პოპულარული დისციპლინის — კორპორაციული მართვის ელემენტებიც.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი ბურდულმა მონოგრაფიაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო და მონოგრაფიის I ტომი 2010 წელს გამოსცა, სადაც, ძირითადად, განხილულია სააქციო სამართლის ისტორია და სააქციო საზოგადოების სტატუსი, მისი კაპიტალი და ქონება, აქციის ცნება და სააქციო საზოგადოების დაფუძნების საკითხები.

„ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან ქართველებს ამ სამართლებრივი ფორმის მდიდარი ტრადიცია გვქონდა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში უხვად მოვიპოვე ის წესდებები, რომელთა საფუძველზეც იმ დროისთვის დიდი კორპორაციები იყო შექმნილი. I ტომში ასევე საუბარია კაპიტალიზაციაზე, სააქციო საზოგადოებაში ქონებრივ ურთიერთობებზე და ა.შ. მონოგრაფიის პირველი ნაწილი სააქციო საზოგადოების დაარსების საკითხის განხილვით სრულდება“, — აღნიშნა ნაშრომის პრეზენტაციაზე ირაკლი ბურდულმა.

რაც შეეხება „სააქციო საზოგადოების საფუძვლების“ II ტომს, მასში სააქციო საზოგადოების, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმის, მომწესრიგებელი ნორმა-დებულებებია განხილული. უფრო კონკრეტულად კი აქციონერთა, დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს და ა.შ. უფლება-მოვალეობებია გაანალიზებული. ირაკლი ბურდულმა მონოგრაფიის II ნაწილზე მუშაობა ლუდვიგ მაქსიმილიანის მიუნხენის უნივერსიტეტში (გერმანია) მიმდინარე წლის ზაფხულში დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის მიმდინარეობს საქართველოს სამეწარმეო სამართლის რეფორმა. შექმნილია სპეციალური კომისია პროფესორ ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით, რომლის ერთ-ერთი წევრიც პროფესორი ირაკლი ბურდული გახლავთ. კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე. ირაკლი ბურდულის ინფორმაციით, ახალ კანონპროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობების ის მარეგულირებელი ნორმები, რომელიც „სააქციო საზოგადოების საფუძვლებშია“ განხილული. კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდგომ კომისიის წევრები საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობებისა და, ზოგადად, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას პროგნოზირებენ.

„II ტომში გადავწყვიტე მეჩვენებინა ის რეალური სტრუქტურული ელემენტები, რომელიც სააქციო საზოგადოებას აქვს, რადგან სააქციო სამართალი და მთლიანად საკორპორაციო სამართალი სხვა არაფერია, თუ არა გარკვევა იმისა, თუ რა უფლება-მოვალეობა აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციონერს, დირექტორატს და ა.შ. პირველ რიგში აქციონერების უფლება-მოვალეობების განხილვა დავიწყე და შესაბამისად ეს საკითხი II ტომის პირველ ნაწილშია შესული. სააქციო საზოგადოებაში ადგილი, სადაც აქციონერი თავის უფლებებს პროცედურულად ახორციელებს, გახლავთ საერთო კრება, ამიტომ მეორე ნაწილი ამ თემას ეხება. 2008 წლიდან ჩვენ, გარკვეულწილად, მმართველობის შერეულ მოდელზე გადავედით. შესაბამისად, მონოგრაფიის მომდევნო თავები დირექტორატის საქმიანობასა და სამეთვალყურეო საბჭოს ეძღვნება“, — განაცხადა მონოგრაფიის ავტორმა.

სამეწარმეო სამართლის და ზოგადად საკორპორაციო სამართლის დარგის უკეთ შესწავლის, კვლევების გააქტიურებისა და განვითარების მიზნით იურიდიულ ფაკულტეტზე დეკანის, ირაკლი ბურდულის ინიციატივით რამდენიმე წელია საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი მოქმედებს, სადაც კვლევით პროცესში მაგისტრანტები და დოქტორანტებიც აქტიურად არიან ჩართულნი. აღნიშნული კვლევები ხელს უწყობს საკორპორაციო სამართლის თეორიული სწავლების პროცესში კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებების დროულ ასახვას. მაგალითად, ირაკლი ბურდულის ინიციატივით, 2008 წელს, როდესაც სამეწარმეო სამართალში საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა, მოხდა საკორპორაციო სამართლის მოდულის შესაბამისი მოდიფიცირება. წიგნის „სააქციო სამართლის საფუძვლების“ II ტომის პრეზენტაციაზე იურიდიულ ფაკულტეტზე მიმდინარე აქტიური სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობისა და მნიშვნელობის შესახებ თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამაც ისაუბრა.

„იურიდიული ფაკულტეტის საკმაოდ ხშირი სტუმარი ვარ და ყოველთვის ძალზე საინტერესო მიზეზით. ეს ან კონფერენციაა, ან სტუდენტისთვის სტიპენდიის მინიჭება, ან წიგნის პრეზენტაცია. ეს ყველაფერი დასტურია, თუ რამდენად პროდუქტიულია ეს ფაკულტეტი და რამდენად დიდ საქმეებს ახორციელებენ პროფესორ-მასწავლებლები. ძალზე მნიშვნელოვანია პროფესორ ირაკლი ბურდულის წიგნის „სააქციო სამართლის საფუძვლების“ II ტომის გამოცემა. ეს წიგნი მისი შრომის გარკვეული ეტაპის დასრულების ამსახველია და სტუდენტებსაც უკვე აქვთ შესაძლებლობა — მონოგრაფიის საშუალებით უფრო სრულყოფილად შეისწავლონ საგანი. ჩვენს ბიბლიოთეკას კიდევ ერთი საჭირო სახელმძღვანელო შეემატა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მონოგრაფია „სააქციო სამართლის საფუძვლები“ III ტომის გამოცემით დასრულდება. ირაკლი ბურდულის ინფორმაციით, მასში სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხები იქნება განხილული.

XIX საუკუნის ლიტერატურის ღირსება

შურთხია ბეროშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში გამართულ „ქართული ლიტერატურის“ ოთხტომეულის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ „ეს წიგნები ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის თვალსაწიერის გაფართოებას და ქართული ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლას“. ოთხტომეული შედგენილია პროფესორების: რევაზ სირაძის, იუზა ევგენიძის, ლადო მინაშვილის, გია ალიბეგაშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და ნესტან სულავას მიერ და იგი ქართული ლიტერატურის ისტორიას ასახავს, რომელიც უძველესი პერიოდიდან იწყება და XX საუკუნემდე გრძელდება. მასში ქართული ლიტერატურის განვითარების გზა და ძირითადი ტენდენციებია წარმოჩენილი. ოთხტომეული იაკობ ხუცესით იწყება და ოთარ ჭილაძის შემოქმედებით სრულდება.

ქართული ლიტერატურის II ტომს, რომელსაც ამჯერად მკითხველის წინაშე წარვადგენთ, ორი ავტორი ჰყავს: ლადო მინაშვილი და იუზა ევგენიძე. ლადო მინაშვილის თქმით, წიგნის მიზანია, მკითხველს ნათლად დაანახოს XIX საუკუნის ლიტერატურის ღირსება და აჩვენოს, რომ ყოველი მომდევნო ეტაპი წინას ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. წიგნი მოგვითხრობს ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; გვაცნობს მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითად პრობლემატიკას, თემატიკას, მხატვრულ სამყაროს, ქართული ლიტერატურის ტენდენციებს მისი არსებობისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

წიგნს უძღვის შესავალი — „ახალი ქართული ლიტერატურის სათავეებთან“. მასში მე-19 საუკუნეში შექმნილი ახალი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ვითარების გათვალისწინებით განხილულია, თუ რა პირობები დაედო საფუძვლად ახალი ქართული ლიტერატურის სპეციფიკური თავისებურებების ჩამოყალიბებას.

ნაშრომი დაყოფილია ხუთ ნაწილად, რომელთაგან თითოეული XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ ეტაპს გამოხატავს. ყოველ მათგანს წამძღვარებული აქვს კონკრეტული პერიოდის თეორიული მიმოხილვა, რაც მკითხველს საჭირო ინფორმაციას აწვდის და უადვილებს იმდროინდელ ავტორთა ნააზრევის სწორად და სიღრმისეულად წვდომას. წიგნის პირველი ნაწილი XIX საუკუნის რომანტიკოსთა შემოქმედებას ეთმობა, მომდევნო ნაწილში კი წარმოდგენილია XIX საუკუნის 40-50-იანი წლების კულტურულ-ლიტერატურული პროცესების მიმოხილვა, აღწერილია ის გარემოებანი, რამაც ამ წლებში ვითარება არსებითად შეცვალა.

წიგნის მომდევნო ნაწილი XIX საუკუნის 60-70-იანი წლების დიდ ქართველ მოღვაწეებს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს ეთმობა. ამ ნაწილსაც უძღვის ვრცელი მიმოხილვა, რომელიც ეხება 60-70-იანი წლების ქართულ მწერლობაში თაობათა ურთიერთობის საკითხს რუსთა და ქართველთა შორის.

ერთერთი თავი ხალხოსანი მწერლების შემოქმედებას ეძღვნება. ვრცელი გამოკვლევის მიზანია ხალხოსნობის არსის გარკვევა როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. ხალხოსან მწერალთაგან წინამდებარე ტომში წარმოდგენილია ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და იოსებ დავითაშვილი.

წიგნის ბოლო ნაწილი XIX საუკუნის უკანასკნელი პერიოდის მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლების: ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის შემოქმედებას ეძღვნება. აქ ვრცლად არის წარმოდგენილი ამ ავტორთა ლიტერატურული მემკვიდრეობა.

აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორები განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიის მიმართ. ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე, არამედ საგანგებოდაა შერჩეული და თავმოყრილი ისეთი დეტალები, რაც მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის მწერლის თუ პოეტის პიროვნულ თავისებურებებზე.

თსუ-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულების დოქტორანტის ლევან ბებურიშვილის შეფასებით, წიგნის ავტორები — ლადო მინაშვილი და იუზა ევგენიძე იმ მეცნიერთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებმაც ერთგვარად განსაზღვრეს არაერთი ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევრის მოღვაწეობის გზა.

„წიგნი მეცნიერთა ნახევარსაუკუნოვანი შრომის შედეგია. XIX საუკუნის ქართველი მწერლობა ნაშრომში განხილულია, ერთი მხრივ, ქართული სულიერი კულტურის, ხოლო მეორე მხრივ, ევროპული ლიტერატურის განვითარების კონტექსტში. მწერალთა ბიოგრაფიები და შემოქმედება გააზრებულია სინთეზურად, ერთ მთლიანობაში, როდესაც ბიოგრაფია ხშირად შემოქმედების გასაღებად არის ქცეული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ წიგნში საფუძვლიანად არის გააზრებული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული არაერთი მცდარი შეხედულება. გარდა ამისა, ნაშრომში შესწავლილია იმ მწერალთა შემოქმედებაც, რომლებიც ქართველი ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების გარეშე იყვნენ დარჩენილები.

წიგნის უდიდესი ღირსება ისიც არის, რომ მკვლევრები აქტიურად იყენებენ ლიტერატურათმცოდნეობის მომიჯნავე ჰუმანიტარული დისციპლინების: ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის მონაცემებს, რაც ბევრად აფართოვებს კვლევის მასშტაბებსა და ჰორიზონტს. ნაშრომის კითხვისას მკითხველი არა მარტო ცოდნას იღებს, არამედ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც. ნაშრომი სანიმუშოა ლიტერატურით დაინტერესებული ახალბედა მკვლევრებისთვის. ასეთი დონის სახელმძღვანელო ჩვენს სინამდვილეში იშვიათობაა. წიგნი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ლიტერატურის ისტორია“, — განაცხადა პრეზენტაციაზე ლევან ბებურიშვილმა.

ქართველი ბელორუსისტი

ინტერვიუ ნანა გაფრინდაშვილთან

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი ახლახან დაბრუნდა მინსკიდან, სადაც ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო კონფერენცია — „სლავური ლიტერატურები მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში“ გაიმართა. კონფერენცია მეტად წარმომადგენლობითი იყო. მის მუშაობაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ნანა გაფრინდაშვილს საინტერესო და საქმიანი შეხვედრები ჰქონდა კოლეგებთან, ბელორუს პროფესორებთან, რომლის დროსაც დაისახა ერთობლივი მუშაობის გეგმები და პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციაზე ქალბატონი ნანა მსოფლიო ბელორუსისტთა ასოციაციის წევრად აირჩიეს. პროფესორი სიამოვნებით იხსენებს ბელორუსიაში გატარებულ დღეებს.

შურთხია ბეროშვილი

— რა იყო თქვენი მოხსენების თემა და რით აღმოჩნდა იგი საინტერესო კონფერენციის მონაწილეებისთვის?

— ჩემმა ნაშრომმა „ვლადიმირ კოროტკევიჩის ქართული თარგმანები და ეპოქის იდეურ-ესთეტიკური კონტექსტი“ პლენარულ სხდომაზე დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მასში ქართულ-ბელორუსული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ურთიერთობების შესწავლის ფონზე დასმული იყო ბელორუსებისათვის მეტად აქტუალური, მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსის პრობლემა. ეს კომპლექსი ერს ჩამოუყალიბდა მძიმე ხვედრისა და ისტორიის განმავლობაში. ბელორუსი ერი ღირსეული ევროპული ერია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ისტორია, ენა და ჭეშმარიტი ზნეობრივ-კულტურული ღირებულებები აქვს. სწორედ ამ პოზიციას იცავდა და ავითარებდა ვლადიმერ კოროტკეციჩიც. მისი შეფასებები ეყრდნობოდა ბელორუსი ერის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების ღრმა წვდომასა და ანალიზს.

— როდის დაინტერესდით ბელორუსული ენითა და ლიტერატურით?

— 70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის ინიციატივით, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ოთარ ბაქანიძე, საფუძველი ჩაეყარა მეტად მნიშვნელოვან და პროგრესულ ტრადიციას - სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს მაშინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

გაცვლით პროგრამას ჰქონდა გამოკვეთილი მიზანი — მოემზადებინა ესტონური, ლიტვური, ლატვიური, ბელორუსული, უკრაინული და სხვა ენებისა და ლიტერატურების სპეციალისტები საქართველოსათვის, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე გაცვლითი პროგრამის ფორმატში ჩამოსული სტუდენტები მოემზადებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებად ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და სხვა პროგრამაში ჩართული რესპუბლიკებისათვის. სტუდენტობის დროს მეც ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გავდიოდი სტაჟირებას ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მინსკში.

— დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ეს თქვენთვის მაინორ პროგრამა იყო?

— დიახ. კარგი ანალოგიაა. ეს იყო თანამედროვე მაინორ პროგრამის ტოლფასი მოვლენა, რომელიც ზუსტად იმ მიზნებს ისახავდა და იმ შედეგზე გადიოდა, რომელსაც თანამედროვე მაინორ პროგრამები ითვალისწინებდნენ. ჩვენ ვიყავით თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, ვამთავრებდით თსუ-ს და ვიღებდით თსუ- ის დიპლომს, ხოლო ტარტუს, რიგის, ვილნიუსისა და სხვა უნივერსიტეტებში მე და ჩემი მეგობრები მარიამ მირესაშვილი, მაია ჯორჯაძე, შადიმან შამანაძე, ნანა დევიძე, ვახტანგ სალია და სხვები მივლინებული ვიყავით, როგორც სტაჟიორები და ეს იყო ჩვენთვის დამატებითი სპეციალობა, მაშინდელი საგანმანათლებლო სისტემა იმ უნივერსიტეტების დიპლომის მინიჭებას არ ითვალისწინებდა.

— დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ ამ გაცვლითი პროგრამის მნიშვნელობას როგორც პირადად თქვენთვის, ისე პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე?

— მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი ძალადობრივი გზით შექმნილი იმპერია იყო და მასში ქვეყნები მექანიკურად იყვნენ გაერთიანებული. სსრკ პარტიული ხელისუფლების მიზანი იყო ისე წარემართა ქვეყნის განვითარება, რომ საბოლოო ჯამში მიეღო საბჭოთა ერი, საბჭოთა ლიტერატურა და ყველას ერთ, რუსულ ენაზე ელაპარაკა. ამიტომ, ვიდრე ამ საბოლოო მიზანს მიაღწევდა, მას ჯერ არანაკლებ მნიშვნელოვანი შუალედური მიზნისათვის უნდა მიეღწია. საბჭოთა კავშირში შემავალი ერები კარგად გაეცნო ერთმანეთისათვის.

სწორედ ეს ვითარება გამოიყენა მაშინდელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის გამოყენებით მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები ლიტვის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა რესპუბლიკებისათვის. თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილი ეს სტუდენტები მომავალში ქართული კულტურის საუკეთესო დესპანები აღმოჩნდნენ და ქართული ლიტერატურისა და კულტურის მიღწევების პოპულარიზაციას ეწევიან თავიანთ ქვეყნებში.

ჩემთვის ეს, გარდა დამატებითი სპეციალობისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო პროფესიული განვითარების თვალსაზრისითაც, რადგან ბელორუსული ფილოლოგიური სკოლა ერთ-ერთი წარმატებული იყო 70-80-იან წლებში. გარდა ამისა, მინსკში ხშირად ჩამოდიოდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ტარტუსა და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სტუდენტებსაც გვიკითხავდნენ ლექციებს.

— გამოდის, რომ თქვენ, ბელორუსული გადასახედიდან რომ შეგაფასოთ, უცხოელი ბელორუსისტი ბრძანდებით.

— დიახ. უნდა მოგახსენოთ, რომ ბელორუსებს ზუსტად ისეთი თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვთ უცხოელი ბელორუსისტებისადმი, ზუსტად ისეთი მადლიერებით აფასებენ მათ შრომას, როგორც ჩვენ ვაფასებთ უცხოელი ქართველოლოგების ღვაწლს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ყველა ერის სურვილია, რაც შეიძლება ბევრმა ქვეყანამ გაიცნოს მისი კულტურა და ლიტერატურა და მყარი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს კულტურულ რუკაზე. გარდა ამისა, უცხოელი მკვლევრის თვალი, როგორც წესი, ყოველთვის ხედავს რაღაც ახალს და აკეთებს კარგად ნაცნობი მოვლენებისა და ფაქტების ახლებურ ინტერპრეტაციას. ბელორუსები განსაკუთრებით ამაყობენ, როცა მათ დედაუნივერსიტეტში, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღზრდილი სპეციალისტების სამეცნიერო ნაშრომებს და მხატვრულ თარგმანებს ეცნობიან.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი ინტერესების სფერო მარტო ბელორუსიით არ შემოიფარგლება...

— რასაკვირველია. ბელორუსია ჩემი, როგორც ფილოლოგის, ერთადერთი ინტერესის საგანი არ არის. უპირველეს ყოვლისა, ვარ ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ჩემი მეცნიერული ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა, თარგმანმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, რიტორიკა და სხვ. რასაც ვაკეთებ, ვცდილობ, ხარისხიანად გავაკეთო.

— რა არის ის, რასაც ყველა სტუდენტს ასწავლით?

— იშვიათად, მაგრამ მაინც გამიგია, რომელიმე პატარა ან არც თუ ისე ცნობილი ენა და ლიტერატურა დაფარული ირონიით მოუხსენებიათ. ძალიან გამკვირვებია და შევწუხებულვარ ამის გამო და მაშინვე წარმომიდგენია, როგორი განცდა დაგვეუფლება, ვინმემ ჩვენი მშობლიური ენა და ლიტერატურა, მისი მკვლევრები ან მთარგმნელები ირონიულ კონტექსტში რომ მოიხსენიოს.

ჩემს სტუდენტებს ვასწავლი ყველა ერის კულტურისა და ლიტერატურის პატივისცემას და მონდომებით ვუხსნი, რომ ყველა ენა ჩვენი ცივილიზაციის სიმდიდრეა, ისიც, რომელზეც 50 კაცი ლაპარაკობს და ისიც, რომელზეც მილიონები საუბრობენ. ასევეა ლიტერატურა და ხელოვნების ნებისმიერი დარგიც. დიდი იმედი მაქვს, ჩემი სტუდენტები არასოდეს არც ერთი ერის მიმართ არ გამოავლენენ უპატივცემულო დამოკიდებულებას. ამას ხელს უწყობს საუნივერსიტეტო აკადემიური პოლიტიკაც: ჩვენ ერთნაირი მონდომებით ვასწავლით ინგლისურსაც და კავკასიის ხალხთა მცირერიცხოვანი ხალხების ენებსა და ლიტერატურებსაც.

გახსენება

ნატა ჯანელიძის ნათელ ხსოვნას

მისი სიკვდილი მეხის გავარდნას ჰგავდა, რადგან ყველას უყვარდა და, რაც მთავარია, თავად უყვარდა ყველა. ნატა ჯანელიძის ხასიათის გამორჩეული თვისება სწორედ სიყვარულის უნარი იყო და ეს სიყვარული იმ ადამიანებსაც კი სწვდებოდა, ვინც მას უბრალოდ იცნობდა. ყოველთვის ახსოვდა, რომ სიყვარული სულგრძელია, ქველმოქმედია, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, არ რისხდება, არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. აი, ამ სახარებისეული სიყვარულით ცხოვრობდა, სწამდა, იმედი ჰქონდა და ყოველივეს ითმენდა.

უნიჭიერესი ადამიანი, შესანიშნავი დედა და მეუღლე და უსათნოესი ბებია; – ნამდვილად ასეთი იყო. მაგრამ კიდევ ერთი საოცარი თვისება ჰქონდა – ჭეშმარიტი მეგობრობის ცნება უმაღლეს ხარისხში ჰყავდა აყვანილი, რაც მას ბრწყინვალე პიროვნებად წარმოაჩენდა. ეს არ არის მეგობრის ხსოვნას დადევნებული სიტყვები; ამ სიტყვებს მას სიცოცხლეში ვერასოდეს ვეტყოდით, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდით, რომ მასთან ყოფნა მუდმივად ზეიმი იყო. ამ ზეიმს გვიქმნიდა თავისი გადამდები მხიარულებით, თხრობის მანერით, განუმეორებელი იუმორით, უცნაურად ლამაზი, ლაღი მოძრაობებით, სიცილით. ადამიანებისადმი თავისი კეთილგანწყობის წყალობით, მათში მხოლოდ კარგ თვისებებს ხედავდა, ცუდს კი ჩქმალავდა და უარყოფდა, მაშინაც კი, როდესაც გრძნობდა, რომ უსამართლოდ მოექცნენ; ამ თვისებების წყალობით, თავისი ცხოვრების არცთუ იოლი გზა უდრტვინველად გაიარა და არასოდეს შეუშინებია სიძნელეებს.

ქართული ენის ტრფიალი იყო; თუმცა არანაკლებ ახლობელი იყო მისთვის გერმანული ენა; თავისუფლად გადადიოდა ერთი ენის წრიდან მეორეში, ადარებდა ერთმანეთს და ეძებდა მათ შორის განსხვავებასა და მსგავსებას; შესანიშნავად უკავშირებდა თარგმანის თეორიულ კონცეფციებს პრაქტიკულ თარგმანს, როდესაც თავად უხდებოდა ამ სამუშაოს შესრულება. ბოლო წლებში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა სათარგმნ ტექსტებზე. 2011–2012 წლებში გამოაქვეყნა: ერიჰ მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, პაულ ჰაიზეს „ნოველები“, ფრიდრიჰ ნიცშეს „ანტიქრისტე“. ბოლო დღეებამდე თარგმნიდა და უკვე თითქმის ძალაგამოლეულმა დაასრულა გერმანელი მწერლის, ჰელგა კურცხალიას მოთხრობის „ლამარას წერილების“ თარგმნა, რომელიც 90–იანი წლების საქართველოს ტრაგიკული მოვლენებია აღწერილი.

ნატა ჯანელიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში; დაინტერესებული იყო გერმანული და ქართული ენების ფრაზეოლოგიზმებით, მუშაობდა მათი თარგმნისა და უთარგმნელობის პრობლემებზე, სტილისტიკის, ლექსიკოლოგიისა და ტერმინოლოგიის საკითხებზე; მოწოდებით ნამდვილი პედაგოგი იყო და ამ საქმეშიც თავს იჩენდა ხოლმე მისი პროფესიონალიზმი და არტისტული ბუნება, ამიტომაც უყვარდათ სტუდენტებს. შესანიშნავად იცნობდა თანამედროვე ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, ფილოსოფიას, ხელოვნებას, მუსიკას და ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მისი ასეთი მრავალფეროვანი ინტერესების გამომწვევი „მიზეზი“ მისი შესანიშნავი მეუღლე, ელგუჯა ბერძენიშვილი იყო.

ნატა ჯანელიძე იმ ოაზისს ჰგავდა, რომლის დანახვაზეც ადამიანებს ყოველთვის სიხარული და აღტაცება იპყრობს. ახლა ეს ოაზისი სადღაც გაქრა, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ბედნიერება იყო მასთან მეგობრობა.

ნანა გოგოლაშვილი,
ემერიტუს პროფესორი, დოქტორი; მეგობრებისა და კოლეგების სახელით თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი

გეოგრაფიის კვირეული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულება საუნივერსიტეტო საზოგადოებას ხშირად ანებივრებს საინტერესო ღონისძიებებით, გეოვიქტორინებითა და გამოფენებით. 2-7 დეკემბერს ამ მიმართულებაზე თსუ-ის გეოგრაფიული მუზეუმის დაარსების 55 წლისთავისადმი მიძღვნილი გეოგრაფიული კვირეული გაიმართა.

მაია ტორაძე

კვირეულის ფარგლებში მოეწყო გეოგრაფიული მუზეუმის გამოფენა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ფოტოკონკურსი, მოსწავლეთა კონფერენცია და სტუდენტთა გეოვიქტორინა.

მუზეუმის გამოფენის გახსნაზე თავი მოიყარა გეოგრაფიული საზოგადოების არაერთმა წარმომადგენელმა. გამოფენა გახსნა თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ საგამოფენო დარბაზში მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი იმ მდიდარი მემკვიდრეობიდან რომელიც გეოგრაფიულმა მუზეუმმა შემოინახა. მანვე აღნიშნა, რომ გამოფენის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა, მუზეუმის თანამშრომლებმა და გეოგრაფიული მუზეუმის მენეჯერმა ნანა მჟავიამ, რომელმაც, ფაქტობრივად, შემოინახა ამ მუზეუმის უმდიდრესი ფონდი.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით კერესელიძემ საზოგადოებას მუზეუმის დაარსების ისტორია შეახსენა და აღნიშნა, რომ მას საფუძველი 1958 წელს ჩაეყარა.

გეოგრაფიის მუზეუმს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნანა ბოლაშვილმა საჩუქრად გადასცა 1997 წელს საიუბილეოდ დამზადებული ვახუშტი ბაგრატიონის გამოსახულებიანი მედალი და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ატლასი, რომელიც გეოგრაფიის ინსტიტუტმა გამოსცა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულხან საბა ორბელიანისეული ატლასი, რომლითაც მან ევროპაში იმოგზაურა და რომელზეც წითელი მელნით საკუთარი ხელით აქვს გაკეთებული ჩანაწერები. ასევე წარმოდგენილი იყო კავკასიის რელიეფური ატლასი, რომელიც ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით უნივერსიტეტს 1920 წელს შეუძენია. დამთვალიერებელი აქ ნახავს უნიკალურ რუკებსა და ფოტოებს, კერძოდ, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციას, ახალი ათონის მღვიმის სტალაქტიტის ფრაგმენტებს, ასევე ცნობილ გეოგრაფ მეცნიერთა მემორიალურ ნივთებს.

მუზეუმის გამოფენას ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ექსპონატები არა მხოლოდ გეოგრაფების, არამედ უფრო ფართო საზოგადოების ყურადღებას უნდა იპყრობდეს. „ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ახალმა ექსპონატებმა, რომლებიც ერთი წლის წინ იმერეთში აღმოჩენილი დაახლოებით 10-13 მილიონი წლის წინანდელი ვეშაპის ხერხემლის მალებს წარმოადგენს და რომელიც გეოგრაფიის მიმართულების მე-2 კურსის სტუდენტმა ნიკა წითელაშვილმა შესძინა მუზეუმს. ვფიქრობ, ახალგაზრდების ჩართვა მსგავს ღონისძიებებში მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. რადგან გეოგრაფიული კვირეულია, იმასაც აღვნიშნავ, რომ, როგორც იცით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 17 სპეციალობის დაფინანსების თაობაზე. სამწუხაროდ, გეოგრაფია და გეოლოგია ამ ჩამონათვალში არ მოხვდა. ორიოდე კვირის წინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე წავიდა ჩემი წერილი, რომლითაც ვითხოვ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სპეციალობების რიცხვს მიემატოს გეოგრაფია და გეოლოგიაც.“ — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

კვირეული დასრულდა ექსკურსიით გეოგრაფიული მუზეუმის დამფუძნებლის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლმუზეუმში, სოფელ ძევრში.

ქალი მკვლევარი ქალი ავტორების შესახებ

რას და როგორ წერენ ქალები? როგორია მათი ლინგვისტიკა და რით განსხვავდება ქალების მიერ შექმნილი ლიტერატურა მამაკაცური ლიტერატურისაგან? – ამ კითხვაზე პასუხისას ბარბარე ჯორჯაძისა და ილია ჭავჭავაძის პაექრობა გახსენდება, რომელიც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ქალი ავტორის თემაზე გამართული პირველი პოლემიკაა. მაშინ ილიამ ბარბარეს წერის მანერა დაუწუნა. ბარბარე ჯორჯაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამის მიუხედავად, მას წერისათვის თავი არ დაუნებებია და ილიას საპასუხო პუბლიკაციაში მართალია, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც შეეხო ქალისა და მამაკაცის უფლებრივ მდგომარეობას და ქალის პოზიციებს მთლიანად პატრიარქალიზებული ლიტერატურის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში ქალები ბარბარე ჯორჯაძის შემდეგ მრავლად გამოჩნდნენ, დღემდე ლიტერატურის კრიტიკოსები სერიოზულად არასდროს დაინტერესებულან იმით, თუ რა განსხვავება, ან არის თუ არა საერთოდ განსხვავება, სხვადასხვა სქესის ავტორების მიერ შექმნილ ლიტერატურას შორის?

ამ თვალსაზრისით ახალგაზრდა მკვლევრის ნინო პოპიაშვილის მონოგრაფია — „ქალი ავტორი” სიახლეა როგორც ლიტერატურათმცოდნეებისთვის, ისე კულტურისა და გენდერის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის. ნაშრომი საინტერესოდ იკითხება და ისეთ საკითხებზე დაფიქრებას გაიძულებს, რომელთა შესახებ მანამდე ძირითადად სტერეოტიპული და მზა პასუხები გქონდა, ან საერთოდ არ ფიქრობდი.



მონოგრაფიის შესავალშივე ავტორი სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელსაც თავისი განსაზღვრული, ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული წესრიგი აქვს, რთულია ღირებულებათა გადაფასება, მით უმეტეს, თუკი თავად ხარ ამ ღირებულებებზე გაზრდილი, თუმცა, ლიტერატურა სწორედ ის სფეროა, სადაც ნოვაციები იბადება, ამიტომ: „ლიტერატურის დეფინიცია, გენდერულად მარკირება, ქალი ავტორის საკითხის ცალკე გამოყოფა და შესწავლა თითქოს ეწინააღმდეგება ლიტერატურულ ტრადიციებს და ნორმებს, ღალატობს ლიტერატურულ კანონებს, რომელთა მიხედვით ლიტერატურა ზოგადეროვნული და ზოგადადამიანურია, შესაბამისად, ზოგადგენდერულიც”. თუმცა, როგორც ირკვევა, მაინც არსებობს განსხვავება და მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურების მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ ქალი ავტორების წერის მანერა, მათ მიერ შერჩეული თემატიკა, მათი ლინგვისტიკა, აზროვნების წესი და სტილი განსხვავებულია მამაკაცი ავტორების წერის მანერისაგან. ქალების შემოქმედებაში განსხვავებული ემოციური და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩანს, რაც უკვე თავისთავად საინტერესოა, რადგან უფრო მრავალმხრივი და სრულყოფილი ხდება სამყაროს აღწერაც და გაგებაც.

ნინო პოპიაშვილის მონოგრაფია რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ შემოდის ქალი ავტორის ცნება, რომელიც როგორც ტერმინი, დღემდე არ გამოიყენებოდა ჩვენში. ჩაანაცვლებს თუ არა ქალი ავტორი ტრადიციულ მწერალ ქალს, რთული სათქმელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გამოთქმა მწერალი ქალი გარკვეული გამოცდილებით ნამდვილად არის დატვირთული, ეს გამოცდილება საქართველოში არ გულისხმობს კნინობით და ნეგატიურ კონტექსტს.

ქართული ენის გრამატიკა არ განასხვავებს ერთმანეთისგან მამრობითსა და მდედრობითს, თუმცა, ავტორიცა და მწერალიც ჩვენში ჯერ ისევ მამაკაცს გულისხმობს და შესაბამისად, განსაზღვრება ქალი ორივე შემთხვევაში აუცილებლობა ხდება, ისე როგორც აუცილებლობაა ლიტერატურაში მოღვაწე ქალისთვის იმ ინსტრუმენტებით ოპერირების დაუფლება, რომელსაც მწერალი მამაკაცები თვითგამოხატვისთვის ჯერ კიდევ ძველი ბერძნული სამყაროდან იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნობელიანტი მწერალი ქალებიც გამოჩნდნენ, დღემდე ლიტერატურაც კი მასკულინურია. ამას თავად ქალი ავტორები აღნიშნავენ ინტერვიუებში, რომელიც მონოგრაფიას დაერთვის. ქართველების გარდა, მკვლევარი ავსტრიელ რენატე ველშსაც ესაუბრა, თუმცა, წარმომავლობა დიდად არ განასხვავებს იმ გამოცდილებას, რომელიც სხვადასხვა ნაციონალობის მწერალ ქალებს აერთიანებთ: ამ ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო ღრმად გრძნობ იმ გამოწვევათა სირთულეს, რომელთა პირისპირაც უხდებათ დგომა ქალებს, რომლებიც ტრადიციულ როლს არ დაკმაყოფილდნენ და გადაწყვიტეს, მეტი ეთქვათ საკუთარ თავსა და იმ სამყაროზე, რომელსაც ქალის მიერ დანახულ-გააზრებული სამყარო ჰქვია.

მონოგრაფია საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ნინო პოპიაშვილი აანალიზებს ქალი ავტორების შემოქმედებას როგორც თანამედროვე ევროპულ, ისე ისლამური აღმოსავლეთის ლიტერატურაში. ცალკე თავშია გამოტანილი ქალი ავტორის თემა ქართულ ლიტერატურაში.

ქალი ავტორების შემოქმედების ანალიზისთვის მკვლევარი ჯერ ზოგადად ქალის ფენომენის გააზრების ისტორიულ ტრადიციასა და თანამედროვე ტენდენციებს მიმოიხილავს, შემდეგ ენათმეცნიერებასაც მიმართავს და სხვადასხვა ენებში დალექილი გენდერული ასპექტების ანალიზით კვლავ მთავარ დასკვნამდე მიყევხარ: ქალური სამყარო საკმაოდ დაუჩაგრავს და შეუვიწროებია მამაკაცურ ცივილიზაციას და საკუთარი სივრცის მოსაპოვებლად ნებისმიერ და მათ შორის ავტორ ქალებსაც მამაკაცებისათვის სრულიად უცხო სირთულეების გადალახვა უხდებოდათ და დღემდე უხდებათ.

მონოგრაფიის კიდევ ერთი, საერთო კონტექსტთან შედარებით განსხვავებული თემაა ქალი კავკასიურ, კერძოდ კი ნართების ფოლკლორში. ბუნებრივია, აქ ლაპარაკი არ არის, ზოგადად, ქალ ავტორზე, თუმცა ნებისმიერი ხალხის ლიტერატურაში ყოველთვის მრავლადაა წარმოდგენილი ანონიმი ქალი ავტორების შემოქმედება, რაზეც ნაწარმოების თემატიკა და ლინგვისტიკა მეტყველებს, სამაგიეროდ ნინო პოპიაშვილი ნართების პერსონაჟი ქალის — სათანას სახის გაანალიზებით გვიჩვენებს, თუ რა ადგილი ეკავა კავკასიის მთიანეთში ქალს.

ნინო პოპიაშვილის მონოგრაფიის პრეზენტაცია, რომელიც ცალკე წიგნად გამომცემლობა „მერიდიანმა” გამოსცა, მწერალთა სახლში გაიმართა. როგორც ავტორმა აღნიშნა, ის მომავალშიც აპირებს ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებას, კონკრეტულად კი დაინტერესებულია, უფრო ფართოდ შეისწავლოს და გააანალიზოს ქართული მწერლობის ქალი ავტორების შემოქმედების გენდერული და კულტურული ასპექტები.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62